


კომოსაქსუალობა ისლამში

კრიტიკული ანალიზი გვი, ლესბოსელი და ტრანსგენდერი
მუსლიმებისა

ავტორი სკოტ სირაჯ ალ-ჰაკ კუმლი

ინგლისურიდან თარგმნა ნანა სარალიშვილმა



მე-6 თავი

სულის გაცოცხლება: ისლამური მიდგომები ტრანსგენდერული გამოცდილებისადმი

ადამიანს გააჩნია ცხადი და დაფარული განზომილებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანს აქვს სხეული და სული. სული ჭეშმარიტად მარტივია, მისი დანაწევრება შეუძლებელია ... სხეული კი შედგენილია და მისი ნაწილებად დაყოფა შესაძლებელია... ყველაფერი, რაც შედგენილია თავის თავში ნაწილების სიმრავლეს მოიცავს, მისი თითოეული მახასიათებელი და ქმედება კი მხოლოდ გარკვეულ ნაწილსა და ორგანოს მიემართება ადამიანის სული, რომელიც ჭეშმარიტად მარტივია, არის ცოცხალი, მცოდნე, ესმის, ხედავს, საუბრობს. მისი მახასიათებლები არა ჰგავს ადამიანის სხეულის მახასიათებლებს, რადგან ადამიანის სხეულს სხვადასხვა ნაწილიდან ესმის, ხედავს და საუბრობს, ხოლო ადამიანის სული კი (ასეთი არაა)... რადგან მის მახასიათებლებსა და ქმედებებს არ გააჩნიათ ინსტრუმენტები და ორგანოები. სწორედ ეს შინაარსი დევს გამოთქმაში: „ღმერთმა შექმნა ადამი (ღმერთის) ფორმის მიხედვით“.

აზიზ ალ-დინ ნასაფი, Kasha al-Haqa'iq

სული ნამდვილად მარტივია, განუყოფელი, არ შემოისაზღვრება სივრცით და მას არ აძველებს დრო. სხეული არ არის მარტივი - ის მატერიალური საგნებით შექმნილ სამყაროს ეკუთვნის, შედგენილია, დანაწევრებადი, ის სივრცით შემოსაზღვრულია და დრო აბერებს. სული არის ის, რაც ღმერთისგანაა ყველა ადამიანში. თითოეული ადამიანი არის განსაკუთრებული, შესაბამისად, სხეულის მატერიალურობით შეზღუდული, თუმცა, თითოეული ადამიანი ასევე გამოხატავს უნივერსალურ სულს და მოიცავს იმას, რაც ღმერთისგანაა. ამ პარადოქსის ამოხსნა არის გასაღები იმისა, თუ როგორ ვიცხოვროთ ეთიკურად და გავიგოთ, როგორ შეიძლება ღმერთი იყოს ერთდროულად ყველგან და არსად, ახლოს და შორს, ისე, რომ ღმერთს შეუძლია თქვას, „ჩვენ ხომ მასთან (ადამიანთან) უფრო ახლოს ვართ, ვიდრე მისივე კისრის დედობარღვი“ (ყურანი 50:15(16)). მუსლიმი თეოლოგები მუდამ ცდილობდნენ ამ პარადოქსის ამოხსნას, თუმცა სუფიებმა - მუსლიმმა მისტიკოსებმა - ყველაზე სიღრმისეულად შეძლეს მისი გამოკვლევა.

ზემოთ, ეპიგრაფში მოყვანილი აბზაცი ნასაფის ეკუთვნის, სუფ მასწავლებელსა და სპარსული სუფიური ტექსტების ავტორს (გარდაიცვალა 1295 წელს). მისმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იბნ არაბის, გაბედული თეოლოგისა და ბრძენი სუფი მოაზროვნის პოპულარიზაციაში (გარდაიცვალა 1240 წელს). იბნ არაბი ცდილობდა აეხსნა ყურანის სწავლება ღმერთისა და ადამიანთა მოდგმის ურთიერთმოქმედების შესახებ, და ის, თუ

როგორ ეწინააღმდეგებოდა ეს პატრიარქალურ წინასწარგანწყობებს გენდერსა და სექსუალობასთან დაკავშირებით.¹ იბნ არაბისა და მისი მიმდევრებისათვის, მამრობითი და მდედრობითი წარმოადგენს სულიერ ძალებს, რომელთაგან პირველი აქტიურსა და შემოქმედ, მეორე კი - პასიურსა და მიმღებლურ როლს ირგებს. როდესაც ერთად მოქმედებენ, ეს ძალები მატერიალურ სამყაროზე ახდენენ გავლენას, რომელიც შეიძლება „ბავშვს“ შეედაროს, რომელიც ამ ორ ძალას შორის სიახლოვისა და შეხებისგან შეიძლება დაიზადოს. სუფიებისთვის მამრობითი და მდედრობითი წარმოადგენს სულის შემოქმედებითი გამოვლინების ძალების ან პოზიციების ტიპებს მატერიალურ სამყაროში. მათთვის მამრი და მდედრი ადამიანის ბიოლოგიური აღწერილობის ნაწილს არ წარმოადგენს, კაცისა და ქალის მახასიათებლები მათით არ შემოიფარგლება.

გენდერული იდენტობის შესახებ ამ თავის მეგზურები იბნ არაბისნაირი სუფიები არიან, რადგან ჩვენი წინა მეგზური თეოლოგიის საკითხებში, იბნ ჰაზმი, ასე აქტიურად არ წერდა გენდერის შესახებ. თუმცა, იბნ არაბი იბნ ჰაზმს დიდ პატივს სცემდა. ის ანდალუსიაში ცხოვრობდა და იბნ ჰაზმისაგან მიიღო გამბედაობა, ემტკიცებინა უაღრესად არატრადიციული ისლამური ინტერპრეტაციები. იბნ არაბი ისლამურ კანონზე ზაჰირიტული სკოლის წარმომადგენლების კრიტიკულ დაკვირვებებს იზიარებდა. ის იბნ ჰაზმში ხედავდა მოციქული მუჰამადის ხატმებრძოლ სულს, რომელსაც ჰყოფნიდა გამბედაობა მისი ეპოქის კერპებს შეწინააღმდეგებოდა. იბნ არაბი, თავის მონუმენტურ წიგნში *მექური გამოცხადებანი* აღწერს ზმანებას, რომელიც მოციქულისგან ჰქონდა. ის ამბობს: „მძინარემ ვნახე მოციქული (ალაჰიმე აკურთხებს მას და გაუმარჯვებს), ის გადმოცემების სწავლულ იბნ ჰაზმს ისე გადახვეოდა, რომ ერთ ადამიანად მესახებოდნენ. ეს ადამიანი იყო ღმერთის მოციქული, (ალაჰიმე აკურთხებს მას და გაუმარჯვებს), ესაა ყველაზე აღმატებული ერთობა.“² ასეთ ზმანებებში, სუფიები ნათლად ხედავდნენ სულს ისე, როგორც ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ სხეულს, ხედავდნენ, როგორ შეიძლებოდა ორი ერთი გამხდარიყო, თუკი მათი სულები ერთმანეთთან იდეალურ ჰარმონიაში იყვნენ.

ასეთი სუფიების თანახმად, სული³ „შთაბერილ იქნა“ ადამიანის სხეულში, ევაში, და მათ შვილებში უფლის მწყალობელი სუნთქვის საშუალებით, რომელმაც გააცოცხლა უსიცოცხლო ადამიანის სხეული. სულსა და სხეულს შორის არსებობს ბუნდოვანი ძალა, რომელსაც „სამშვინველი“ ჰქვია. სამშვინველი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: გონი, როგორც

¹ Murata, *The Tao of Islam*, გვ. 235–236. ამ ტექსტის თარგმანი გადავაკეთე ისე, რომ ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვები და ნაცვალსახელები გენდერულად განსაზღვრული არ ყოფილიყო. ეს იმიტომ, რომ ამ ტექსტის მურათასეული ინტერპრეტაცია - და იბნ არაბის სხვა ტრადიციაში არსებული სხვა ტექსტებისა - საკმარისად შორს არ მიდის იმის გასააზრებლად, თუ რამდენად რადიკალურია მათი გამოწვევა გენდერის პატრიარქალური კონსტრუქციების მიმართ. გენდერის შესახებ მურათას კონსერვატიული ვარაუდების დამაჯერებელი კრიტიკისთვის, იხ. Shaikh, *Spiritual Cartographies of Gender*

² Ibn Hazm, *Mu'jam Fiqh Ibn Hazm al-Zahiri*, გვ. 37 – შესავალში, ავტ. Muhammad al-Muntasir al-Kattani

³ ტექსტში ინგლისური ორიგინალიდან soul თარგმნილია, როგორც სამშვინველი, ხოლო spirit, როგორც - სული. ქართულ ენაში სული ხშირად ორივე მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა მოცემულ ტექსტში არსებული განსხვავებებიდან გამომდინარე, ამ ორის გამიჯვნა მნიშვნელოვანი იყო. (მთარგ. შენ.)

სხეულის მიერ თავისი სასიცოცხლო ძალის გაცნობიერება, რომლის საშუალებითაც სხეული სუნთქავს, ფიქრობს, მოქმედებს, აზროვნებს და იაზრებს თავის მოკვდავებას. ან, სამშინველი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სულის მიერ იმისი გააზრება, რომ თავად სხეულშია „გამომწყვდეული“, რომ თავად სხეულზე უპირატესია. გონის არსებობა სხეულს სცდება, მასზე დიდხანს არსებობს, თუმცადა, სხეულის ქმედებების მორალურ პასუხისმგებლობებს ატარებს თავის თავში. როგორც არ უნდა წარმოვიდგინოთ ეს - სული, როგორც სხეულის საზღვრებში მოქცეული, თუ სხეული, როგორც სულის საშუალებით გაცოცხლებული - სამშინველი ეფემერულ სხეულსა და უკვდავ სულს შორის არსებულ განსხვავებას ავსებს.

სუფიების მიზანია, სულსა და სხეულს შორის არსებულ ამ განსხვავებას გაუსვან ხაზი, ბიძგი მისცენ მუსლიმ მორწმუნეებს, რომ სული გამოიკვლიონ, თავი აარიდონ საკუთარი თავის მხოლოდ სხეულთან გაიგივებას, გასცდნენ სხეულის სურვილებით, მისწრაფებებით, აკვიატებებით შექმნილ შეზღუდვებს. სუფიები მუსლიმებს უბიძგებენ ყურადღება გულზე გაამახვილონ, სხეულის სხვა ორგანოებსა და კიდურებზე მეტად - რადგან გული არის ადგილი, სადაც სხეული უსასრულო სულთან ურთიერთქმედებს, რომელიც სხეულში ქრის და მაინც, მუდამ ღმერთის წინაშეა. ამის გათვალისწინებით, გული - სხეულის ყველა სხვა ნაწილზე მეტად - არის სულის საარსებო ადგილი და სამშინველის სამყოფელი.

სამშინველი, უფრო მეტად, ცნობიერებაა, ვიდრე სუბსტანცია. უფრო მეტად გონია, ვიდრე საგანი. ის უფლის მწყალობელი შემოქმედებითი სუნთქვით შექმნილი პიროვნების ვინაობაა. როგორც ვინაობა, ის თვით-რეფლექსიურია - ჩვენი პიროვნების ის ნაწილია, რომელიც ამბობს „მე“, ნაწილია, რომელიც ასეთი ეგოიზმისგან დატოვებულ ნაიარევს ატარებს. სამშინველი არის იდენტობა, ის ცნობს სახელს, აღიქვამს ინდივიდუალურობას, იღებს პასუხისმგებლობას სხეულის ქმედებებზე. მისი საშუალებით ხდება სხეულის ნაწილების ერთ არსებად თავმოყრა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამშინველს გენდერული იდენტობაც გააჩნია. სამშინველი, სხეულზე რეფლექციის შედეგად, საკუთარ თავს მდებარედ ან მამრად აღიქვამს, ან მდებარედაც-და-მამრადაც, ანდა არც-მდებარედ-არც-მამრად. არ აქვს მნიშვნელობა, თავად ადამიანი, თავისი სულის სიღრმეში, სად ათავსებს საკუთარ თავს მდებარეობითისა და მამრობითის დუალობაში - გენდერული იდენტობა ადამიანად არსებობის ნაწილია, რომელიც ჩვენს ნაკლოვანებასა და ამ დუალისტურ სისტემაში ჩაფლულობის ხარისხს აირეკლავს.

ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, როგორ გვაყალიბებს გენდერი, რადგან სწორედ მისი მეშვეობით ვცდილობთ ღმერთის გაგებას. ადამიანები ღრმად არიან ჩაფლულები გენდერულ დუალობაში, თუმცა ღმერთი გენდერისგან თავისუფალია. ისლამური სწავლების ძირეული პრინციპია, რომ ღმერთი არაა ბინარული, მას არ აქვს ის პირობები და შეზღუდვები, რაც - ადამიანის არსებობას ახასიათებს. ყურანი გვიბრძანებს ვთქვათ, *„იგია ალაჰი ერთადერთი, ალაჰი მარადი, არცა უშვია და არცა შობილა, არცა მოზიარედ ჰყოლია არავინ“* (ყურანი 112:1-4). რადგან ის არასოდეს შობილა, ღმერთის არსებობა დუალობაზე არაა დამოკიდებული. რადგან თავად არ შობს, უფლის შემოქმედებითი ბუნება არაა კაცობითა და ქალობით შემოსაზღვრული, რომელიც რეპროდუქციის ჩვენეულ გაგებას აყალიბებს. ღმერთმა შეგვქმნა იმ გენდერულ

განსხვავებებში და განსხვავებებით, რომელსაც ასე ღრმად ვგრძნობთ. მაგრამ ღმერთი გენდერზე მაღლა დგას, როგორც ყურანი ამბობს: „*ვფიცავ ღამეს, როს იგი ფარავს, და ვფიცავ დღეს, როს იგი ბრწყინავს. და რაიც მან შექმნა მამრად და მდედრად, ჭეშმარიტად, გარჯა თქვენი სხვადასხვაგვარია*“^(92:1-7).⁴ ეს ჭეშმარიტებაა, მაშინაც კი, როცა ბევრი მუსლიმი თეოლოგი და ჩვეულებრივი მორწმუნე მიიჩნევს, რომ ღმერთი უფრო მამრ პიროვნებას ჰგავს, ვიდრე მდედრს. ეს ნაკლოვანი გაგებაა სწორედ პატრიარქალური სოციალური წყობის საფუძველი.⁵

ყურანი მიმართავს გენდერულ განსხვავებებს - მამრი და მდედრი - თუმცა, ის ასევე ეჭვქვეშ აყენებს მათდამი ჩვენში არსებულ განზოგადებულ დამოკიდებულებებს. ამ თავში დეტალურად იქნება განხილული, როგორ იყენებს გენდერულად განსაზღვრულ ცნებებსა და სურათხატებს ყურანი. თუმცა, იქამდე უნდა გავიაზროთ ადამიანის გენდერული იდენტობის მრავალფეროვნება, ბუნდოვანება და მოქნილობა. როგორც სული აცოცხლებს უსიცოცხლო სხეულს, ადამიანის სამშვინველიც ფორმას იღებს. სამშვინველი არის ვინაობა, მისი საშუალებით ხდება ნაწილების ერთ გარკვეულ არსებად თავმოყრა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამშვინველს, როგორც იდენტობას, გენდერი გააჩნია. გენდერი მხოლოდ სხეულს არ მიეკუთვნება, არამედ ის პიროვნების ნაწილია, რომელიც სხეულზე აირეკლება. სხეულის ანატომიური ნაწილები არ განსაზღვრავენ ამ სხეულში მცხოვრები ადამიანის გენდერს. გენდერი ადამიანის პიროვნების შემადგენელი ნაწილია; ეს არის იდენტობა, რომელსაც სხეულით მიღებული გამოცდილების საშუალებით ვსწავლობთ. ეს იდენტობა შეიძლება „შეესაბამებოდეს“ სხეულის გამოხატულ ანატომიურ ორგანოებს, შეიძლება - არა. ამაზე ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ. პირველ რიგში, გენდერული იდენტობის შესახებ არსებულ თანამედროვე სოციოლოგიურ და სექსოლოგიურ კვლევებზე ვისაუბრებთ, შემდეგ კი კვლავ დავუბრუნდებით თეოლოგიურ პერსპექტივას, რომელიც ყურანით გაცხადებულ სიტყვებს ეყრდნობა.

გენდერული იდენტობა და სექსუალობა

ისლამური თემები, სხვა პატრიარქალური მოწყობის საზოგადოებების მსგავსად, ხშირად ურევენ ერთმანეთში სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას. გეი მუსლიმ კაცებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მათ „ქამინგ აუთს“ (იდენტობის აღიარება და გასაჯაროება) ოჯახები იმის დადასტურებად აღიქვამენ, რომ ისინი ქალებივით იქცევიან და ქალებივით ფიქრობენ. ასევე, მუსლიმური ოჯახები და საზოგადოებები მიიჩნევენ, რომ ლესბოსელები კაცებივით მოქმედებენ და კაცებივით ფიქრობენ. ისლამურ ტრადიციაში გენდერის - ქალსა და კაცს შორის არსებული განსხვავებების - კომპლექსური გაგება

⁴ ამ აიების თარგმანი აღებულია: Sells, *Approaching the Qur'an*, გვ. 86

⁵ Barlas, *Believing Women in Islam*, გვ. 93–99 ეყრდნობა ისლამში მასკულინური ღმერთის სრულიად ახლებურ ფემინისტურ კრიტიკას რიფატ ჰოსეინის მიერ.

ჩამოყალიბდა, თუმცა, არ ჩამოყალიბებულა ასევე დეტალიზებული გაგება სექსუალური ორიენტაციისა. ხშირად, სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხები მუსლიმური ოჯახებისა და თემებისთვის აღიქმება, როგორც გენდერულ ქცევასა და იდენტობასთან დაკავშირებული პრობლემა - რაც აზიანებს ლესბოსელ და გეი მუსლიმებს, რომლებიც საკუთარ თავს მოიაზრებენ როგორც ქალებს, რომლებსაც ქალები უყვართ, ან როგორც კაცებს, რომლებსაც კაცები უყვართ.⁶ არსებობენ ის ადამიანებიც, რომელთა განსხვავებულობაც სექსუალურ ორიენტაციას კი არა, თავად გენდერულ იდენტობას უკავშირდება. არსებობენ მუსლიმები, რომლებიც თავს ქალად აღიქვამენ, იმისდა მიუხედავად, რომ მათი სხეული და სოციალური სტატუსი მათ კაცად მოიაზრებს; ასევე, არსებობენ ისინი, ვინც გრძნობენ, რომ კაცები არიან, მიუხედავად იმისა, რომ სხვები მათ სხეულსა და სოციალურ სტატუსს ქალისად აღიქვამენ, თითქოს ისინი ქალის სხეულში გამოძვდნული კაცები იყვნენ. არსებობენ ისინიც, ვინც გრძნობენ, რომ არც „მამრები“ არიან და არც „მდედრები“, მათ მიერ საკუთარი გენდერის აღქმა ბუნდოვანია. ასეთ ადამიანებზე შეიძლება ითქვას, რომ აქვთ შფოთვა („გენდერული დისფორია“⁷), რომელიც გამოწვეულია (სხვების მიერ) მათთვის განსაზღვრულ სქესსა და საკუთარ გენდერულ იდენტობას (როგორც თავად აღიქვამენ საკუთარ თავს) შორის არსებული განსხვავებით.⁸

ახალ შექმნილ ტერმინებს - როგორებიცაა ტრანსგენდერი, ტრანსსექსუალი, ინტერსექსი - ვიყენებთ ასეთი ადამიანებისა და მათი კომპლექსური იდენტობების აღსაწერად. ამ ტერმინებს შორის არსებულ თითქმის შეუმჩნეველ, მაგრამ მნიშვნელოვან განსხვავებებს ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ. ეს ადამიანები ითხოვენ, რომ არ განვსაჯოთ გარეგნობის მიხედვით, რადგან გარეგნობა არაა იგივე, რაც შინაგანი იდენტობა, და ის არ განსაზღვრავს ადამიანის დანიშნულებას ცხოვრებაში. ადამიანი შეიძლება სხვებისთვის - იქნება ეს ოჯახი, ექიმი, გამვლელები ქუჩაში - ქალად გამოიყურებოდეს, თუმცა საკუთარ თავს კაცად მოიაზრებდეს და შინაგანად კაცად გრძნობდეს თავს. უფრო მეტიც, ამ ადამიანს შეიძლება ძალიან უნდოდეს, სხვებიც კაცად აღიქვამდნენ მას. ამისთვის, ისინი იცვლიან გარეგნობას, იცვამენ კაცივით, ირჩევენ ჰორმონალურ თერაპიასა და სქესის შეცვლის ოპერაციას, რომ ბიოლოგიურად კაცები გახდნენ. სხვებისგან კი იმას ითხოვენ, რომ არ განსაჯონ, ვიდრე მათ გამოცდილებებზე, გრძნობებზე, სამედიცინო ცოდნისგან ჩამოყალიბებულ ინტუიციასზე, მორალურ შეზღუდვებსა და გულითად თანაგრძნობაზე არ დაფიქრდებიან.

ისლამში ერთ-ერთი უმთავრესი გამოცდილებაა, გონის მიერ იმისი აღქმა, რომ ღმერთი მუდამ თვალს გვადევნებს. ღმერთის სამართალი კი ორლესული მახვილია - ადამიანს უზღუდავს დაუფიქრებლად მოქმედებას და ამასთანავე, ეთიკური ქცევის ნორმების საზღვრებში აქცევს. თუმცა, ის ასევე ათავისუფლებს ადამიანს სხვების ზედაპირული განსჯისგან, რადგან

⁶ იხ. მაგალითად, Tapinc, "Masculinity, Femininity and Turkish Male Homosexuality."

⁷ გენდერული დისფორია, Gender Dysphoria, გამოიყენება როგორც სამედიცინო ტერმინი, თუმცა დღესდღეობით ის შესაძლოა თემისთვის ნეგატიურ კონოტაციას ატარებდეს. (მთარგმნელის შენიშვნა)

⁸ „გენდერული დისფორიის“ განმარტებისა და კლინიკური დისკუსიის შესახებ იხილეთ ვებგვერდი G.I.R.E.S. (Gender Identity Research and Education Society) at <www.gires.org.uk>.

ადამიანმა იცის, რომ უფალი მის სულსა და ქმედებებს განსჯის. თუკი ამ ისლამურ ცნობიერებაში ადამიანი ღრმად ჩაეფლობა, როგორღა შეძლებს ის თავისი ენერჯია სხვების წამიერ განსჯაზე დახარჯოს (განსჯა, რომელიც, როგორც წესი, ზედაპირულად გარეგნობასა და ეგოისტურ თვითკმაყოფილებაზეა დაფუძნებული)?

ტრანსგენდერ მუსლიმებს სჭირდებათ ის თავდაჯერება, რომელსაც სწორედ ასეთი რწმენა აყალიბებს, რადგან მათი იდენტობების დამალვა რთულია. გეი და ლესბოსელ ადამიანებს შეუძლიათ, საჭიროებისამებრ, თავი ტრადიციულ კაცებად და ქალებად გაასაღონ. მაგრამ ტრანსგენდერ ადამიანებს ოჯახში და საზოგადოებაში მეტი სირთულე ექმნებათ. მათი იდენტობა და გამოცდილება კითხვებს აჩენს სქესის დიმორფულობის⁹ შესახებ, რაც სექსუალურ ორიენტაციაზე ბევრად უფრო ძირეულია იმის აღქმისათვის, თუ რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა. უფრო თვალნათელი ანალიზისათვის, საჭიროა, განვასხვავოთ სამი ტერმინი, მიუხედავად იმისა, რომ ფართოდ გამოყენებისას მათი მნიშვნელობები ერთმანეთში ირევა ან ურთიერთსაპირისპიროდ გამოიყენება ხოლმე: „სქესი“, „გენდერი“ და „სექსუალობა“. „სქესი“ ადამიანის ანატომიურ გენიტალიებს უკავშირდება, რომლის საშუალებითაც ადამიანი მამრის ან მდედრის კატეგორიაში თავსდება. „გენდერი“ არის ადამიანის სოციალური ქცევის გამოხატულება, რომლის საშუალებითაც ის შეიძლება მასკულინურად ან ფემინურად დახასიათდეს. „სექსუალობა“ გულისხმობს ადამიანის მიერ სექსუალური მიზიდულობის აღქმას, ინტიმური ურთიერთობისა და სიამოვნების გამოხატვას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სექსუალურ ორიენტაციას (ადამიანს შეიძლება სექსუალური ურთიერთობის სურვილი ჰქონდეს საპირისპირო ან იგივე სქესის პარტნიორთან), არამედ, ასევე უფრო სექსუალური მიზიდულობის უფრო ნაკლებ შესამჩნევ საკითხებსაც (მაგალითად, აქვს თუ არა ადამიანს საერთოდ სექსუალური მოთხოვნილება), მათ სიძლიერესა და ფოკუსს. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინები - „სქესი“, „გენდერი“ და „სექსუალობა“ - სექსუალური ხასიათის კონკრეტული ქცევის შესახებ არსებული წინასწარგანწყობებისგან სრულიად თავისუფალია; არასოდეს უნდა დავასკვნათ, რომ გარკვეული ტიპის ადამიანების სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებული სტერეოტიპული ასოციაციები ამ ადამიანების ცხოვრებაში აუცილებლად ხდება. ეს სამი ტერმინი გვეხმარება, გავერკვიოთ, რამდენად მრავალფეროვანი სახით შეიძლება გამოვლინდეს ადამიანის ცხოვრებაში გენდერი და სექსუალობა. ადამიანი შეიძლება უმცირესობას მიეკუთვნებოდეს სექსუალური ორიენტაციიდან გამომდინარე, თუკი ის კაცია და სექსუალური სიამოვნების მიღება კაცისგან სურს, ან თუკი ის ქალია და ამავე სახის სიამოვნების მიღება სურს სხვა ქალისგან. ადამიანი შეიძლება უმცირესობას მიეკუთვნებოდეს გენდერული იდენტობიდან გამომდინარეც, თუკი ის ანატომიურად კაცია, მაგრამ თავს ქალად გრძნობს და სოციალურ კონტექსტში ფემინურად იქცევა, ან თუკი ადამიანი ქალია, რომელიც თავს კაცად აღიქვამს და სოციალურად მასკულინურად იქცევა.

⁹ “განსხვავება ერთი და იმავე სახეობის მდედრობითი და მამრობითი ორგანიზმების აგებულებაში. სქესობრივი დიმორფიზმი საბოლოოდ ყალიბდება სქესობრივი მომწიფების პერიოდისათვის და ძირითადად დაკავშირებულია მეორადი სასქესო ნიშნების განვითარებასთან. განასხვავებენ სეზონურ და მუდმივ სქესობრივ დიმორფიზმს.” <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=12&t=7106>

ასეთ ადამიანებს ჩვენ „ტრანსგენდერს“ ვუწოდებთ, რაც ნიშნავს, რომ ისინი ავლენენ მათი ანატომიური სასქესო ორგანოთი განსაზღვრული სქესის საპირისპირო იდენტობასა და ქცევას, რომლის მიხედვითაც მოხდა მათი სოციალიზება საზოგადოებაში. ტრანსგენდერი აღნიშნავს ადამიანს, რომელმაც იმ გენდერიდან რომლის კონტექსტშიც სოციალიზდებოდა, „გადაინაცვლა“ იმ გენდერში, რომელსაც საკუთარ თავს მიაკუთვნებს. თუკი ასეთი ტრანსგენდერი ადამიანი გადაწყვეტს, რომ საკუთარი სხეული შეცვალოს, ჰორმონალური ბალანსი ან სასქესო ორგანოები საკუთარ ფსიქიკურ გენდერულ იდენტობას შეუსაბამოს, მათ შეიძლება „ტრანსსექსუალი ადამიანი“ ვუწოდოთ. „ტრანსსექსუალი“¹⁰ აღნიშნავს ადამიანს, რომელმაც შეიცვალა სასქესო ორგანოები, რომლითაც დაიბადა, იმ სასქესო ორგანოებით, რომელიც მისთვის უფრო კომფორტულია და მის გენდერულ იდენტობას შეესაბამება. ადამიანი შეიძლება ტრანსგენდერი იყოს, მაგრამ არასოდეს გახდეს ტრანსსექსუალი, თუკი ის გადაწყვეტს, რომ არ მიმართოს ჰორმონალურ თერაპიასა და სქესის შეცვლის ოპერაციას, საკუთარი გენდერული იდენტობის მიხედვით სხეულის შესაცვლელად. შესაბამისად, ყველა ტრანსსექსუალი ადამიანი თავიდან ტრანსგენდერი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი თავს საპირისპირო გენდერული იდენტობის ადამიანად აღიქვამდნენ, იქამდე, ვიდრე საკუთარ სხეულს შეცვლიდნენ, რათა ის შინაგანი განცდისა და იდენტობის შესაბამისი გაეხადათ.

ტრანსგენდერიცა და ტრანსსექსუალი ადამიანებიც განსხვავდებიან „ინტერსექსი“ ადამიანებისაგან. ინტერსექსი არის ადამიანი, რომელსაც კაცისა და ქალის დამახასიათებელი ანატომიური ორგანოები გააჩნიათ (გენიტალები თუ მეორადი სასქესო ორგანოები, რომელიც სქესობრივი მომწიფების პერიოდში ყალიბდება).¹¹ თუმცა, ინტერსექსი ადამიანები ტრანსგენდერების მსგავს სირთულეებს აწყდებიან - მათი კატეგორიზებაც არაა მარტივი, ხშირად სტიგმატიზაციის, მარგინალიზაციისა და ძალადობის მსხვერპლი ხდებიან, სწორედ ამის გამო. ბევრი ინტერსექსი ოპერაციას იტარებს (ან საკუთარი ნებით, ანდა ჩვილობისას), რომ ისინი კაცი ან ქალი გახდნენ, რადგანაც საზოგადოება ამ ორს შორის გაურკვევლობის სივრცეს არ ტოვებს. ზოგიერთი ტრანსგენდერი ადამიანი მიზანმიმართულად რჩება ამ განუსაზღვრელ სივრცეში, მაშინაც კი, თუკი საზოგადოება ამისთვის მათ სჯის. ისინი ირჩევენ, რომ საკუთარ თავში დაიტონ კაცისა და ქალის მახასიათებლები. ასეთი ადამიანები „ინტერსექსად“ იდენტიფიცირდებიან - ისინი იკავებენ როგორც სოციალურ, აგრეთვე, სხეულებრივი პრეზენტაციის იმ სივრცეს, რომელიც ორ სქესს შორის არსებობს. ასევე ინტერსექსად იდენტიფიცირდება ზოგიერთი ტრანსგენდერი ადამიანი, რომელსაც სხეულის შესაცვლელად უკვე დაწყებული აქვს მედიკამენტური თერაპია, თუმცა სრულად არ გარდასახულა საზოგადოდ მიღებულ ქალურ ან კაცურ გარეგნობაში. ასეთი მრავალფეროვანი შეიძლება იყოს იმ „არასტანდარტული“ ადამიანების პოზიციები გენდერთან, როგორც სხეულის გარეგნობაში ასახულ შინაგან იდენტობასთან დაკავშირებით. ყველა ეს ტერმინი -

¹⁰ მოძველებული ტერმინი, რომელიც სამედიცინო და ფსიქოლოგიურ წრეებში აღმოცენდა, თუმცა ქვიარ საზოგადოებებში აღარ გამოიყენება.

¹¹ ტერმინი “ჰერმაფროდიტი” მომდინარეობს ორი ბერძნული ღვთაების სახელიდან: ჰერმესი, რომელიც კაცია და აფროდიტე, რომელიც ქალია. მათი სახელების შეერთებით მიღებული ეს სახელი აღნიშნავს ადამიანს, რომელის სხეულსაც აქვს ორივე სქესის დამახასიათებელი გენიტალები.

„ტრანსგენდერი“, „ტრანსსექსუალი“ და „ინტერსექსი“ - მკაფიოდ განსხვავდება „კროსდრესერისგან“. ეს უკანაკნელი უბრალოდ კაცები არიან, რომლებსაც ქალის სამოსის ტარება სიამოვნებთ, ან ქალები - რომლებსაც კაცის სამოსის ტარება სიამოვნებთ (და ეს ქცევა არაფერს მიანიშნებს მათ შინაგან იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით). კაცების უმრავლესობა, რომელიც კროსდრესერია, ჰეტეროსექსუალია, თუმცა ეს ქცევა სტერეოტიპულად ხშირად გვიკაცებს მიეწერებათ. ასევე, ლესბოსელები ხშირად სტერეოტიპულად აღიქმებიან როგორც ქალები, რომლებიც კაცებივით იცვამენ, თუმცა, რეალურად სექსუალურ ორიენტაციას ჩაცმულობასთან, შეიძლება, არანაირი კავშირი არ ჰქონდეს.

ეს რთული ტერმინები გვხმარება საჭირო სიზუსტით აღვწეროთ გენდერული იდენტობის ცვალებადი მახასიათებლები. ეს ტერმინები შედარებით ახალი შექმნილია სოციოლოგიის, სექსოლოგიისა და კლინიკური მედიცინის თანამედროვე დარგების მიერ. ტერმინებმა უფრო მეტი სიზუსტე შეიძინეს ტრანსგენდერი და ადამიანის უფლებების აქტივისტების ჯგუფების დახმარებით. ახალი ტერმინები საჭიროა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ჰორმონალური თერაპია და სქესის შეცვლის ოპერაციის ტექნოლოგია უკვე გამოგონებულია და ვითარდება, რაც სხეულის ცვლილების ისეთ საშუალებებს იძლევა, რაც ერთი თაობის წინ წარმოუდგენელი იყო. თუმცა, ეს ახალი ტერმინები არაა ფართოდ გავრცელებული არც დასავლეთში და არც მუსლიმურ თემებში. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინები ახალია, მათი საშუალებით აღწერილი იდენტობისა და ქცევის მახასიათებლები სავარაუდოდ, უფრო დიდი ხნით ადრე არსებობდა.

მუსლიმებისთვის, შესაძლოა, უფრო ნაცნობი იყოს ადგილობრივი კულტურული ტერმინები, რომლებიც იმ ადამიანების აღსანიშნად გამოიყენებოდა, რომლებიც ქალობისა და კაცობის ბინარულ სისტემაში არ თავსდებოდნენ. ისლამის ისტორიაში არსებობს მინიმუმ სამი კლასიფიკაცია ისეთი ადამიანების აღსაწერად, ვისი გენდერული იდენტობის დაზუსტება რთულია: საჭურისი, მუხანასი (مُحَنَّا / *muhannat*) და ჰიჯრა (ურდუ: حُجْرَا, ჰინდი: हिजड़ा). ამ კატეგორიებს ქვევით უფრო დეტალურად განვიხილავთ, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ისინი აქ განვმარტოთ, რადგან ეს პრე-მოდერნული კატეგორიები ხშირად გავლენას ახდენს მუსლიმი თემის მიერ ლესბოსელი, გვი და ტრანსგენდერი წევრების აღქმაზე. საჭურისი (არაბულად *khasi*) არის ადამიანი, რომელიც კაცის სასქესო ორგანოებით დაიბადა, იზრდებოდა ბიჭად, ვიდრე მას მონად აქცევდნენ და დაასაჭურისებდნენ (როგორც წესი, სათესლე ჯირკვლების მოკვეთით, თუმცა უცნობია, ზოგჯერ პენისსაც კვეთდნენ თუ - არა). საჭურისები არ ხდებოდნენ ქალები, არამედ შუალედურ პოზიციას იკავებდნენ, ლეგალურად და სოციალურად, არც ერთ გენდერს არ მიეკუთვნებოდნენ.¹² ამის საპირისპიროდ, მუხანასი არის ადამიანი, რომელიც კაცის სასქესო ორგანოებით დაიბადა, იზრდებოდა როგორც ბიჭი, თუმცა ფემინურ მახასიათებლებს ავლენდა საუბრისას, მანერებში, მოძრაობასა და ჩაცმულობაში. ეს ტერმინი სასქესო ორგანოებს, სექსუალურ ქცევასა და სექსუალურ

¹² ისლამურ კულტურაში საჭურისების როლის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხ. Marmon, *Eunuchs and Sacred Boundaries*, and Ayalon, *Eunuchs, Caliphs and Sultans*

ორიენტაციას არ აღწერს. ის უკავშირდება ქალურ ქცევას იმ ადამიანის მხრიდან, ვისაც საზოგადოება კაცად აღიქვამს. ის აღნიშნავს ტრანსგენდერულ ქცევას ან კროსდრესინგს, თუმცა არ მიანიშნებს ჰომოსექსუალურ ორიენტაციაზე ან იმავე სქესის ადამიანთან სექსუალურ კონტაქტზე. თუმცა, შუასაუკუნეებიდან მოყოლებული, ეს ტერმინი მიეწერა კაცებს, რომლებსაც ანალური სქესობრივი კავშირის დროს პასიური როლი უკავიათ. ეს უკანასკნელი ამ კატეგორიის განმარტების აუცილებელი ნაწილი არ არის.¹³ მუხანასის პარალელური კატეგორია, მუთარაჯილი¹⁴, არსებობდა ქალის აღსაწერად, რომელიც კაცურად იქცეოდნენ, იქნებოდა ეს საუბარი, მანერები, მოძრაობა და ჩაცმულობა. აბასიანთა სახალიფოს დროს, პერიოდულად, სამეფო კარის ხარჭები საპირისპირო გენდერის ქცევას მიმართავდნენ, როგორც მოდას. ეს ხელს არ უშლიდა მათ ჰეტეროსექსუალურ როლს, რომელიც სამეფო კარზე ეკავათ - არისტოკრატი კაცების სექსუალური პარტნიორობა. ქრონიკები, რომლებიც მათ ქცევას აღწერს, არსად მიანიშნებს რომ ამ „კაცურ ქალებს“ ჰომოსექსუალური ორიენტაცია ჰქონდათ, ან იმავე სქესის ადამიანთან ამყარებდნენ სექსუალურ კავშირს, რაც ხაზს უსვამს განსხვავებას, რომელიც სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ განუსაზღვრელობას შორის არსებობს.¹⁵

დაბოლოს, მესამე ადგილობრივი კატეგორია, რომელიც სამხრეთ აზიაში (პაკისტანი, ინდოეთი, ბანგლადეში) მუსლიმურ თემებში იყო დამკვიდრებული - ჰიჯრა (ურდუ:ہجرا, ჰინდი:हिज्रा)¹⁶. ასეთი ადამიანი კაცის სასქესო ორგანოებით იბადება, ბიჭად იზრდება, რომელიც მომწიფების პერიოდის შემდეგ ქალად იდენტიფიცირდება. ის უარს ამბობს „კაცის“ კატეგორიაზე. ქალის ქცევას, სახელსა და ჩაცმულობას იღებს, საკუთარი ნებით იტარებს რიტუალურ კასტრაციას, რომლის დროსაც ორივე სათესლე ჯირკვალსა და პენისს იშორებს. ამ ცვლილების შემდეგ, ჰიჯრას საზოგადოება არ აღიქვამდა არც კაცად, არც ქალად, არამედ სცნობდა, როგორც „მესამე გენდერს“, რომელიც „არც-ერთი“ იყო, შესაბამისად, იყო „შუაში“. ჰიჯრები თავიანთ ოჯახებსა და თემებს ტოვებენ და საკუთარ სუბკულტურას აყალიბებენ, ხშირად აყალიბებენ სტრუქტურირებულ კლანებს, რომლებსაც საკუთარი მეტყველების დიალექტიც აქვთ.¹⁷ დღეს, სამხრეთ აზიაში, ამ ადამიანებს ხშირად შეცდომით „საჭურისებს“ უწოდებენ, მხოლოდ იმ ზედაპირული მსგავსების გამო, რომ ორივეს გარკვეული სახის კასტრაცია აქვს ჩატარებული. თუმცა, ნათელია, რომ ჰიჯრას ფსიქოლოგიური მოტივაცია

¹³ არაბულად مخنث/muḥannat/- მუხანასი მომდინარეობს სიტყვიდან, რომელიც გადაკეცილ კანს აღნიშნავს, მაგალითად, like the folds of fat on the waist of a reclining odalisque. ლინგვისტურად, ნორმის ინვერსიას გვთავაზობს (ამოტრიალებას), ასევე, დგომის სიზანტეს; იხ. *Arabic-English Lexicon*, vol. 1, p. 814, and also Rowson, “Effeminate of Early Medina.”

¹⁴ مترجّل /mutarağġil/ – მუთარაჯილი (კაცური თვისებების მქონე ქალი).

¹⁵ Bouhdiba, *Sexuality in Islam* ინახავს აქ განხილული მუთარაჯილებისა და მასკულინური ქალების შესახებ დოკუმენტებსა და მსჯელობას.

¹⁶ მესამე სქესის წარმომადგენელთა კასტა ინდოეთში, ბანგლადეშსა და პაკისტანში.

¹⁷ იხ. Nanda, *Neither Man nor Woman*, and also Reddy, *With Respect to Sex*; ჟურნალისტური ანალიზისთვის იხ. Jaffrey, *The Invisibles*

(რომელიც საკუთარი ნებით, ზრდასრულობისას იტარებს კასტრაციას რიტუალის სახით და ამით სუბკულტურაში ხდება მისი ინიციაცია) სრულიად განსხვავდება საჭურისის ფსიქოლოგიური მდგომარეობისგან. შესაბამისად, ჰიჯრას სტატუსი და სოციალური როლი განსხვავდება საჭურისის როლისგან პრე-მოდერნულ საზოგადოებაში.

რადგანაც ჰიჯრა თავს გრძნობს ქალად, რომელიც კაცის სხეულშია მოქცეული, ის ყველაზე ახლოს დგას თანამედროვე ტერმინებით აღწერილ ტრანსგენდერულ გამოცდილებასთან. პრე-მოდერნულ დროში, თანამედროვე სამედიცინო თერაპიებისა და რეკონსტრუქციული ოპერაციის არარსებობის დროს, ჰიჯრა ვერ შეძლებდა საკუთარი სხეულის შეცვლას, რომ ქალი გამხდარიყო. ჰიჯრას მხოლოდ შეეძლო, კაცთან ასოცირებული სასქესო ორგანოები მოეკვეთა და ქალის მახასიათებლები შეეძინა - გაეზარდა თმა, ქალის სამოსი ეტარებინა, ქალის სახელი დაერქვა. პატრიარქალური საზოგადოება არ აღიარებდა ამის პარალელურ კატეგორიას - ქალის სასქესო ორგანოებით დაბადებულ ადამიანებს, რომლებიც გოგონებად იზრდებოდნენ და სასქესო ორგანოების მოკვეთის შემდეგ შეეძლოთ კაცის გენდერული ქცევა გამოევიწყებინათ. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილების მხრივ გარკვეული მსგავსება არსებობს თანამედროვე ტრანსგენდერ ადამიანებსა და ისლამურ საზოგადოებებში უკვე დამკვიდრებულ კატეგორიებს შორის, რომელიც პრე-მოდერნული პერიოდიდან გვხვდება, მათ შორის მსგავსება სწორხაზოვანი სულაც არაა.

ტრანსგენდერის თანამედროვე კატეგორია უკავშირება კაცსაც, რომელიც თავს ქალად აღიქვამს, ასევე ქალსაც, რომელიც თავს კაცად აღიქვამს. ეს კატეგორია თანამედროვე რეალობას მიემართება, სადაც სამედიცინო ტექნოლოგიები არსებობს, რომლის საშუალებითაც ეს ცვლილება შესაძლებელია, ტრანსგენდერ ადამიანს შეუძლია ტრანსსექსუალი გახდეს. ხშირად შედეგი ისეთია, რომ არანაირი კავშირი აღარ რჩება მის ყოფილ და არასწორ გენდერთან. ეს ახალი რეალობა ახალ შესაძლებლობებს აჩენს ადამიანებისთვის, რომლებსაც გარკვეული მიზეზების გამო „გენდერული დისფორია“ აქვთ - კლინიკური სახელწოდება, რომელიც აღნიშნავს ადამიანის მუდმივ, ღრმა დისკომფორტსა და ეგზისტენციალურ უკმაყოფილებას, იმ გენდერთ, რომელსაც მას მიაწერენ სხვები და ამ აღქმიდან გამომდინარე ამ უკანასკნელს ახვევენ კიდევ თავს. ეს ახალი რეალობა ასევე გამოწვევას ქმნის პატრიარქალურ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ყველა რელიგიისათვის. რელიგიები - მათ შორის, ისლამი, თუმცა, არა მხოლოდ - ქალსა და კაცს შორის მკაცრ განსხვავებს ხედავდნენ, როგორც ბუნებრივ და ასევე სოციალურად აუცილებელს, ლეგალურად ნორმატიულსა და ღვთის მიერ დაწესებულს. ისლამური თემის ტრანსგენდერი წევრების სახით არსებულ ამ ახალი გამოწვევის წინაშე დამდგარი მუსლიმები პასუხებს ყურანში ეძებენ. მიუხედავად იმისა, არიან ისინი უბრალოდ კონსერვატორები, იდეოლოგიურად ნეო-ტრადიციულები, მოდერნისტები თუ პროგრესულები, ყველა მუსლიმი ერთ ყურანში ეძებს საფუძველს თავისი არგუმენტებისა და პოზიციისთვის. ამ თავში განვიხილავთ, რამდენად არსებობს ყურანისეულ გამოცხადებაში პროგრესული ინტერპრეტაციის საფუძველი, რომელიც ტრანსგენდერი მუსლიმებისთვის უსაფრთხო და ღირსეულ გარემოს უზრუნველყოფს.

გენდერული პოლარობა¹⁸ ყურანში

ღმერთს სქესი არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების ენა, რომლის მეშვეობითაც ღმერთის შესახებ ვსაუბრობთ, მრავალ გენდერულ ელემენტს შეიცავს. ღმერთი ყურანის საშუალებით გვესაუბრება, გამოცხადება ადამიანების ენის - არაბულის - ფილტრს გადის, რომელიც გენდერული განსაზღვრებებითაა სავსე. ეს მსმენელებზე ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ღმერთს სქესი აქვს და ის მამრობითი სქესის არსებაა. თუმცა, ღმერთს არ გააჩნია სქესი, რომელიც რამენაირად ადამიანის სქესს შეიძლება შევადაროთ, და ეს ღმერთის, როგორც სრულყოფილი ერთის შესახებ ყურანისეული სწავლებისთვის უმთავრესია. მართალია, სახელი ალლაჰის (ღმერთი) ნაცვალსახელი არაბულად არის *هُوَ* (*huwa*) (ის (მამრ)), როგორც ნებისმიერი სხვა მამრობითი ამ ენაში, თუმცა ეს იმის თქმის საფუძველს არ გვაძლევს, რომ ღმერთს სქესი აქვს. ის, რომ ღმერთის სახელის მაგივრად ხშირად ის (მამრ) ნაცვალსახელი გვხვდება, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ არაბული გენდერის ბინარული სტრუქტურის შემცველი (*binary-gendered*) ენაა. არაბულ ენაში ყველა არსებით სახელს - არ აქვს მნიშვნელობა ის სულიერს აღნიშნავს, უსულოს, თუ აბსტრაქტულ იდეას - აქვს მამრობითი ან მდედრობითი ნაცვალსახელი. არაბულ ენაში ნეიტრალური ნაცვალსახელი არ არსებობს, როგორც, მაგალითად, ინგლისურში არის „it“. შესაბამისად, არსებითი სახელი „მზე“ (*شمس*) გრამატიკულად მდედრობითია, ხოლო „მთვარე“ (*قمر*) გრამატიკულად - მამრობითი. არაბულში არ არსებობს გენდერულად ნეიტრალური ნაცვალსახელი, რომელიც მზის ან მთვარის აღსანიშნავად გამოიყენება. ის, რომ ამ ენაში გრამატიკული სქესი მკაცრად არის გაწერილი, არ ნიშნავს, რომ მთვარე კაცია, მისი დახასიათება არ ხდება ადამიანის მასკულინური მახასიათებლებით. ისევე, როგორც მზე არ არის ქალი და მას არ აქვს ფემინური მახასიათებლები. დიდი სუფი სწავლული 'აბდ ალ-რაჰმან ალ-სულამი (*Abd al-Rahman al-Sulami*) (გარდაიცვალა 1021 წელს), მას შემდეგ რაც ცნობილი სუფი ქალების ბიოგრაფიებზე მუშაობდა, აღნიშნავდა:

“თუკი ყველა ქალი ისეთი იქნებოდა, როგორც ისინი, რომელზეც მე ვსაუბრობ, ქალის წინაშე ყველა კაცი დაკარგავდა ფერს, მზის ქალად მოხსენება არაა დანაშაული, როგორც მთვარის კაცად ხსენება არაა საამაყო.”¹⁹

ზემოთ განვიხილეთ, რომ ადამიანებში არსებული სქესის ბინარული გაგება სპეციფიკურად არსებებს მიესადაგება, კონკრეტულად ადამიანები კი გენდერს აღიქვამენ და გენდერის გარშემო აყალიბებენ სოციალურ როლებს, ბიოლოგიური ფუნქციისა და ანატომიური განსხვავების მიხედვით. ყურანი გვაფრთხილებს, რომ ღმერთი არ უნდა დავახასიათოთ ადამიანების მახასიათებლებით, როგორცაა ანატომიური დეტალები, ბიოლოგიური ფუნქციები, თუ სოციალური როლები. ღმერთი არც მამაა და არც - დედა, ადამიანებთან მისი ურთიერთობა რეპროდუქციული ბიოლოგიის მეტაფორების საშუალებით არ აღიწერება.

¹⁸ Gender Polarity

¹⁹ Abd al-Rahman Jami, *Nafahat al-Uns wa Hadrat al-Quds*, გვ. 613. ამ ტექსტში შემონახულია

ალ-სულამის ეს კუპლეტი მის მიერ შედგენილი ცნობილი სუფის, რაბი'ა ბასრას ბიოგრაფიიდან. ბასრას მისი მამაკაცი კოლეგები ხშირად აქედბნენ, როგორც “კაცს ქალის სხეულში”

ღმერთს შეიძლება ჰქონდეს მახასიათებლები, რომლებსაც ჩვენ, ადამიანები, პატრიარქალური კულტურის გავლენით, კაცთან ვაკავშირებთ (როგორცაა ძალა, ავტორიტეტი, ძალაუფლება); ასევე, მახასიათებლები, რომლებიც ქალთან ასოცირდება (მზრუნველობა, სიფაქიზე). ამისდა მიუხედავად, ეს მახასიათებლები ღმერთს არ აქცევს სქესის მქონე არსებად, რომლის შედარებაც ქალთან ან კაცთან შეიძლება.

თუკი გავიაზრებთ, რომ ენაში სქესის მინიჭება მხოლოდ პირობითია, ჩნდება შეკითხვა: რატომ მიეწერება ღმერთს მამრობითი გრამატიკული სქესი და არა - მდედრობითი. ამ უსიამოვნო კითხვაზე პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთსა და ადამიანის სამშვივნველს²⁰ შორის შეპირისპირების ნიადაგზე წარმოშობილი დამაბულობა არსებობს. არაბულად, „სამშვივნველი“ გრამატიკულად მდედრობითია, მიუხედავად იმისა, სულით გაცოცხლებული სხეული რეპროდუქციული ანატომიის მიხედვით მდედრობითია თუ მამრობითი, ხოლო სოციალური როლებით - მასკულინურია თუ ფემინური. სამშვივნველისთვის მდედრობითი სქესის მიწერა სხეულთან მის სიახლოვეს აღწერს, რომელიც, ყურანის მიხედვით, თიხისა და მიწისგანაა²¹ შექმნილი, რომელიც ასევე მდედრობითი სქესის სიტყვებია. სხეული და სამშვივნველი ერთმანეთს სულით (حيا) უკავშირდება, რომელიც ხიდია ერთმანეთს დაშორებულ ღვთიურ და ადამიანურ ბუნებას შორის. ყურანში ღმერთი ამბობს, „ავშოლტე იგი (ადამიანი) და შთავბერე ჩემი სული“ (ყურანი 15:29(29)).²² „სული“ ერთ-ერთი იმ იშვიათ არსებით სახელთაგანია არაბულ ენაში, რომელსაც შეიძლება მდედრობითი ან მამრობითი სქესი ჰქონდეს, სულის ეს განუსაზღვრელი ბუნება თავის როლს თამაშობს ღვთაებრიობასა და ასევე ხორციელ ადამიანობაში; ის სხეულს სიცოცხლეს აძლევს, სამშვივნველს კი - ცნობიერებას.

ყურანი ხშირად საუბრობს იმაზე, რომ სამყაროში ბუნება წყვილებისგან შედგება, წყვილების საშუალებით მრავლდება, იზრდება, ვითარდება. კონტრასტული წყვილების ურთიერთობის საშუალებით მოქმედებს ბუნებრივი სამყარო, როგორც უფლის შემოქმედებითი ნების გამოხატულება. ყურანი ხშირად საუბრობს ადამიანის სქესზე (მდედრობითსა და მამრობითზე), როგორც შეწყვილებაზე, რომლის საშუალებითაც ამ სამყაროში უფლის ნება ხორციელდება. ამ კონტრასტსა და წყვილზე საუბრისას, საინტერესოა, ყურანი ამას მხოლოდ აღწერს, თუ აწესებს კიდევ? შეიძლება ვთქვათ, ყურანი უბრალოდ ვარაუდობს, რომ ადამიანების უმეტესობა აშკარად ამა თუ იმ სქესს მიეკუთვნება, ჰეტეროსექსუალურ წყვილში ჯდება და ამ მეტაფორას ბუნებრივი სამყაროს აღსაწერად იყენებს? თუ ყურანი აწესებს, რომ ყველა ადამიანი ან კაცი უნდა იყოს, ან ქალი, ხოლო ყველა ბუნდოვანება, ცვლილება და განუსაზღვრელი სტატუსი უფლის ნების მიხედვით შექმნილი ბუნებიდან აკრძალული გადახვევაა?

თავისთავად, ეს რთული კითხვაა და ამ კითხვაზე პასუხში უნდა იკითხებოდეს მოკრძალება, სამყაროს კომპლექსურობისა და უფლის ამოუცნობი ბუნების წინაშე

²⁰ نفس /nafs/

²¹ أرض /'ard/ – მიწა, დედამიწა

²² „სულის“ მდედრობითი გრამატიკული სქესის შესახებ იხ. Sells, *Approaching the Qur'an*, გვ. 183–197

წინდახედული ცნობისმოყვარეობა. თუმცა, ხშირად ბევრი ნეო-ტრადიციონალისტი ამ შეკითხვის პასუხად ამტკიცებს, რომ ღმერთმა არა მხოლოდ ადამიანთა მოდგმა, არამედ მთელი კოსმოსი გენდერულ წყვილებად დაყო და ეს დაყოფა მკაცრად, სამუდამოდ და ნათლად დუალისტურია. სატელევიზიო ინტერვიუში ჟურნალისტმა შეიხ კარადავის ჰკითხა: „რა წყაროები განსაზღვრავს ადამიანის თანდაყოლილ ბუნებას ან ხასიათს (უფლის მიერ შექმნილს) ვიდრე მასზე რაიმე ცვლილება²³ ან გადახრა²⁴ მოახდენდა გავლენას?“ მან უპასუხა: *სიტყვა ბუნება (fitra) მომდინარეობს სიტყვიდან, რომელიც ქმნილებას (alfatr) აღნიშნავს. როგორც აიაშია: „ქება ალაჰს, შემოქმედს ცათა და ქვეყნისა“ (ყურანი 35:1(1)) ... ის აღნიშნავს პირველად ბუნებას, რომლითაც თითოეული ადამიანი იბადება, რომელიც არც დასწავლულია, არც შეძენილი და არც მოპოვებული. ის აქვს თითოეულ ადამიანს - არც სკოლაში მისვლაა ამისთვის საჭირო, არც მშობლებისგან სწავლა; მასზე გარემო ვერ ახდენს გავლენას. ეს ბუნებრივია... ადამიანი ისეა შექმნილი, რომ მასში თავიდანვე არსებობს საპირისპირო სქესისადმი მიზიდულობის ჩამოყალიბების პირობა - კაცი ქალისადმი გრძნობს მიზიდულობას, ქალი კი - კაცისადმი ... იმას ვგულისხმობ, რომ ეს ბიოლოგიის საკითხია... ასეთი რამეები ბუნებით გვაქვს მოცემული... ისლამის რელიგია იმისთვის მოვიდა, რომ ადამიანის პირველადი ბუნება შეინარჩუნოს, და არა - აჯანყდეს და შეეწინააღმდეგოს მას ... აი ნახეთ, ღმერთმა, დიდებულმა და ძლიერმა ადამიანი კაცად და ქლად შექმნა ... ასე რომ, ორ სქესს შორის ბუნებრივი მიზიდულობა არსებობს, რადგან ყურანი ამბობს, რომ ეს კოსმოსი შეწყვილებაზე²⁵ დამყარებული და არა ერთნაირობაზე²⁶. შეწყვილების²⁷ პრინციპი არის ამ კოსმოსის პრინციპი ... ეს დამყარებულია დადებითისა და უარყოფითის ქცევაზე, იმდენად, რომ ეს ატომებშიც კი არსებობის ძირითადი პრინციპია. ატომი ელექტრონებისა და პროტონებისგან შედგება, ასე არ არის?“²⁸*

შეიხი კარადავი აქ გამოხატავს გენდერის შესახებ არსებულ იდეოლოგიას, რომელსაც იზიარებს მუსლიმების უმრავლესობა, რომელიც პატრიარქალურ საზოგადოებაშია გაზრდილი და მას თავისი კულტურული წინასწარგანწყობებით ასაზრდოებს. პატრიარქატი დამყარებულია გენდერის განმარტებაზე, სადაც მამრი მკვეთრად და უპირობოდ გამიჯნულია მდედრისგან, იმდენად, რომ მამრი მხოლოდ მდედრთან წყვილდება და საჭიროა მამრი მდედრს აკონტროლებდეს. რაც შეიხი კარადავის განცხადებას ნეო-ტრადიციონალისტურად აქცევს და განასხვავებს უბრალოდ კონსერვატიული პოზიციისგან, არის ის, რომ ის უბრალოდ არ იჯერებს ასეთ გენდერულ იდეოლოგიას, არამედ მას ბიოლოგიასა და ფიზიკასთან მიმართებით აყალიბებს.

თუმცა, შეიხის ცოდნა ბიოლოგიასა და ფიზიკაში უკვე მოძველებულია. თანამედროვე ბიოლოგიამ აღმოაჩინა, რომ შეწყვილების ქცევა ცხოველების ბევრ სახეობაში ბევრად უფრო

²³ تبديل /tabdīl/ – შეცვლა

²⁴ تحريف /taḥrīf/ – შერყვნა, დამახინჯება

²⁵ ازدواج /izdiwāğ/

²⁶ مثلية /mithliya

²⁷ زوجية zawjiya

²⁸ Al-Jazeera, *Shari'a and Life* (ივნისი 8, 2006), ეპიზოდის სათაური: "Fitrat Allah fi Khalqi-hi."

კომპლექსურია, ვიდრე მდედრსა და მამრს შორის არსებულ პატრიარქალურ დიქოტომიას შეუძლია ამისი ახსნა. ზოგიერთი სახეობა გარკვეული პერიოდი ცხოვრობს როგორც მამრი, ვიდრე მდედრად გარდაისახება, ასე რომ, თითოეული მათგანი გარკვეული დროის განმავლობაში ორივე სქესით ცხოვრობს. სხვა სახეობებში, შეიძლება, ერთი ცხოველი ერთდროულად მდედრიცა და მამრიც იყოს.²⁹ თანამედროვე ფიზიკაც აღარ საუბრობს პროტონისა და ელექტრონის მარტივ ორმაგ ბუნებაზე. რა თქმა უნდა, არსებობს ნეიტრონები, რომელთაც შეიხი არც კი ახსენებს, ასევე არსებობს ატომის შემადგენელი ელემენტარული ნაწილაკები, რომლებიც, თავის მხრივ, უფრო ძირითადი ენერჯის ნაწილაკების რთულ კომპოზიტებს წარმოადგენენ, როგორცაა კვარკები. მათი მახასიათებლები იმდენად განსხვავებული და დახვეწილია, რომ მათ ასე მარტივად ვერ ჩავატევთ პატრიარქალური მეტაფორების ჩარჩოებში.

ფიზიკისა და ბიოლოგიის მიერ აღმოჩენილი ეს დეტალები ყურანს არ უარყოფს. პირიქით, ისინი ყურანის ჩვენეულ ინტერპრეტაციას ამდიდრებენ, თუკი ყურს დავუგდებთ წიგნს და საშუალებას მივცემთ მას, რომ პატრიარქალური აღქმების მიღმაც დაგველაპარაკოს. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ყურანის სურა „შემოქმედი“, რომელსაც შეიხი ციტირებს თავის ინტერვიუში. აიას ციტირება პირველი ფრაზის შემდეგ შეწყვიტა შეიხმა. თუმცა, რომ გაეგრძელებინა, აღმოაჩენდა, რომ ყურანი არ აწესებს მხოლოდ ორის შეხვედრითა და შეწყვილებით გამრავლებას, არამედ ასევე აჩვენებს, რომ ღმერთის ნებით, მარტივ წყვილებს მიღმა არსებობს ის რაც, ბუნდოვანი, განუსაზღვრელია. *„ქება ალაჰს, შემოქმედს ცათა და ქვეყნისა, რომელმაც დაადგინა ანგელოსნი მოციქულებად, მქონენი ფრთებისა ორმწკრივის, სამმწკრივისა და ოთხმწკრივისა. იგი მიუმატებს ქმნილებაში, რასაც ინებებს, და, ჭეშმარიტად იგი შემძლეა ყოვლისა.“* (ყურანი 35:1(1)) იმის თქმა, რომ ღმერთის ჩამოყალიბებულია ბუნებითი კანონი, რომლის მიხედვითაც ყველაფერი წყვილებად იქმნება, საკითხის გამარტივებაა.. ღმერთი *მიუმატებს ქმნილებაში, რასაც ინებებს - ორმწკრივს, სამმწკრივსა და ოთხმწკრივს*, რომლებიც საკუთარი სინატიფით ჩვენი მარტივი დაკვირვების საზღვრებს სცდებიან. სურა, სახელად „შემოქმედი“, არის ღვთის შემოქმედებითობისადმი მიძღვნილი ხოტბა, რომელიც ჩვენს წინასწარ განსჯას არყევს და გონიერებას თვალს ჭრის. ეს კი გენდერული იდენტობის კრიტიკული გააზრებისთვის უმნიშვნელოვანესია. *„ალაჰმა შეგქმნათ თქვენ მიწისაგან, შემდგომ წვეთისაგან. შემდგომ დაგადგინათ თქვენ მეუღლეებად. და არ ორსულდება არცერთი ქალი და არ შობს, თუ არა მისი ცოდნით. და დიდხანს ვერ იცოცხლებს ვერცერთი დღეგრძელი და არ მოაკლდება მის სიცოცხლეს, თუ არა მხოლოდ წიგნის თანახმად. ჭეშმარიტად, ალაჰისთვის ეს იოლია“* (ყურანი 35:12(11)). ნათელია, „დაგადგინათ თქვენ მეუღლეებად“ (ინგლ. წყვილად) ეხება საშვილოსნოში განვითარებას,

²⁹ Bagemihl, *Biological Exuberance* აღწერს ცხოველებში ერთნაირსქესიანთა ქვევასა და გენდერის შეცვლის პატერნებს, უმარტივესი უბრალო უხერხემლოებიდან დაწყებული, დამთავრებული ისეთი ძუძუმწოვრებით, რომლებიც ადამიანის უახლოესი მონათესავეები არიან გენეტიკური ნიმუშითა და ინტელექტით, მაგალითად მაიმუნები, ვეშაპები და დელფინები. ეს წიგნი საფუძვლიანად ცვლის დებატებს იმის შესახებ, თუ რა სახის სექსუალური და გენდერული გამოვლინებებია „ბუნებრივი“.

მაგრამ ნაკლებად ცალსახაა, ეხება ეს თუ არა გენდერს. ეს შეიძლება იმას აღნიშნავდეს, რომ კვერცხუჯრედი და სპერმა განაყოფიერების შედეგად ახალ უჯრედს ქმნიან, რომელსაც ზიგოტა ეწოდება. ზიგოტა, თავის მხრივ, დაყოფით მრავლდება - ორად გაყოფით. თუმცაღა, აღსანიშნავია, რომ დაწყვილებისა და დაყოფის პროცესი სწრაფად ხდება იმდენად კომპლექსური, რომ იწყება სხვადასხვანაირი ქსოვილებისა და ორგანოების ჩამოყალიბება. ქსოვილები და ორგანოები კი ბევრად უფრო კომპლექსური მახასიათებლების მქონეა, ვიდრე შეწყვილების პროცესის შესახებ არსებული გამარტივებული ცნებები, სადაც მდედრი და მამრი გამოკვეთილად განსხვავდება. ცნობილია, რომ ადამიანის ჩანასახის ეტაპზე სასქესო ორგანოების ჩამოყალიბებისას, მდედრობით და მამრობით სასქესო ორგანოებში მკვეთრი განსხვავება არ არსებობს, ამ ეტაპზე ორგანოები გასაოცრად განურჩეველია. პენისი და კლიტორი პატრიარქალურ კულტურაში საპირისპირო ორგანოებადაა აღქმული, რაც განსხვავებული გენდერული როლების ანატომიურ საფუძვლად მოიაზრება. ისინი ერთი და იგივე ჩანასახობრივი ქსოვილიდან ყალიბდება, მსგავსი მახასიათებლებით. იგივე შეიძლება ითქვას სათესლე ჯირკვლებსა და საკვერცხეებზე, რომლებიც მოგვიანებით ბავშვის მეორადი სასქესო ნიშნების ჩამოყალიბების ჰორმონალურ სტიმულს იძლევა. ცნობილია, რომ ხანდახან ჩანასახში განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ეს ქსოვილები სხვადასხვანაირად ყალიბდება: მამრობითი ხილული სასქესო ორგანოები ვითარდება მაშინაც კი, როცა ქრომოსომული კომბინაცია მდედრობითია, ან სხეულში საკვერცხეები ყალიბდება, რომლებიც შემდეგ მდედრობითი ორგანიზმის დამახასიათებელ ჰორმონებს გამოყოფს. ხანდახან საქმე პირიქითაა - შეიძლება პენისი არ განვითარდეს, მაგრამ სხეულში ყალიბდება გონადი, რომელიც მამრობითი სქესის დამახასიათებელი ჰორმონალური მახასიათებლების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. თანამედროვე სექსოლოგიურ კვლევებში ადამიანის განვითარების ეს ბუნებრივი მრავალფეროვნება მრავლადაა ასახული.³⁰

ყურანი მიგვანიშნებს, რომ ღმერთის მიერ კოსმოსისა და ადამიანების შექმნის პროცესი მოიცავს როგორც მდედრად და მამრად დაყოფას, ასევე ისეთ მომენტებსა და ფენომენებს, რომლებიც ამ ორად განტოტილობას შორის არსებობს, უფრო ბუნდოვანი და შეუმჩნეველი ფორმით. „შემოქმედში“ შესანიშნავი აია გვხვდება მზის (რომელსაც არაბულ ენაში მდედრობითი გრამატიკული სქესი აქვს) და მთვარის (გრამატიკულად მამრობითი სქესის) შესახებ. *„აყუყუებს ღამეში დღეს და აყუყუებს დღეში ღამეს. დაუმორჩილებია მზე და მთვარე - თითოეული ცურავს დათქმულ ჟამამდე. ეს არის ალაჰი - თქვენი უფალი. მას ეკუთვნის ხელმწიფება, ხოლო იმათ, ვისაც თქვენ მის თვინიერ მოუხმობთ, არაფერი აბადიათ, ფინიკის ქერქიც კი“ (ყურანი 35:14(13)).* მდედრი მზე და მამრი მთვარე თავის გზას გადიან, თუმცა, მათი გავლენა ჩვენს ბუნდოვან რუტინულ ცხოვრებაზე არც ისე ნათელია; არ არსებობს სწორხაზოვანი დაყოფა დღესა და ღამეს შორის, მზის ყოფნასა და არყოფნას შორის. ღმერთი დღეს ღამეში *აყუყუებს* სინათლის სიბნელეში გადასვლის მრავალი ფერის გავლით და შემდეგ ისევ, ღამეს - დღეში.

³⁰ იხ. მაგალითად სამედიცინო სოციოლოგიური კვლევა Money, Love and Love Sickness

ამის მსგავსად, ადამიანების დაყოფა ორ გენდერად ერთდროულად ცალსახა და ბუნდოვანია. ეს დაყოფა ადამიანების უმრავლესობაში მკვეთრია, მაგრამ არა - ყველა შემთხვევაში. ის ეფუძნება ანატომიური ქსოვილების განსხვავებას, რეპროდუქციულ როლებს, რომლებიც სახეობის გადარჩენისათვის უმნიშვნელოვანესია, მაგრამ კონკრეტულ ადამიანებში, შესაძლოა, ეს ქსოვილები და როლები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, რადგან მათზე გავლენას ახდენენ გენეტიკური ძალები, ჰორმონალური ცირკულაცია, ფსიქოლოგიური იდენტობა, რომლებიც ძალზე დახვეწილია და რომლებიც ყველა ადამიანში განსხვავებულია. ეს ვარიაციები ადამიანის ვინაობის „ფერები“, რომელიც უფრო ღრმაა, ვიდრე ადამიანის კანის ფერი (როგორც მეორე თავში განვიხილეთ, სექსუალობასთან მიმართებაში). ყურანი ზეიმობს, რომ უფალს აქვს ძალა, არსებობის ნებისმიერ კატეგორიაში შექმნას მრავალფეროვნება. *„არ გინახავს განა, რომ ალაჰმა გარდმოადინა ციდან წყალი და ამოვიყვანეთ მისით ნაყოფები სხვადასხვაგვარი; მთებში არის ბილიკები - თეთრი და წითელი - სხვადასხვაფერი, და შავი ყორნები. და ხალხი, მხეცნი და საქონელი სხვადასხვაფერია. ჭეშმარიტად, ალაჰისა და მის მონათაგან მხოლოდ მცოდნეთ ემინიათ. ჭეშმარიტად, ალაჰი ძლევამოსილია, შემწყნარებელი“ (ყურანი 35:25(27-28)).*

ეს აია მყარ საფუძველს გვაძლევს, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია გავიაზროთ რასა და გავაკრიტიკოთ სხვადასხვა საზოგადოების მიერ (მათ შორის, ისლამურის) კანის ფერზე დაფუძნებული პოლიტიკური იერარქიები. თუმცა, შეცდომა იქნება, თუკი „სხვადასხვაფერს“ მხოლოდ კანის ფერისა და გარეგნობის კონტექსტში გავიაზრებთ. ეს აია გვიბიძგებს ცოდნის გაღრმავებისა და დაკვირვებისაკენ, რომ ჭეშმარიტი კრძალვით შევიმეცნოთ ღმერთი. ამ აიაში ადამიანების მრავალფეროვნება გათანაბრებულია მინერალების, მცენარეების, ცხოველების მრავალფეროვნებასთან, რომელიც ქიმიისა და ბიოლოგიის უფრო ღრმა სტრუქტურებიდან გამომდინარეობს. სწორედ სამეცნიერო ცოდნასა და სამედიცინო კვლევებს შეუძლიათ გამოავლინონ ღმერთის ქმნილების სიღრმისეული მახასიათებელი. სწორედ ასეთია ღმერთის „ადათი“, რომლის შესახებაც ყურანი საუბრობს: *„არ მოეძევება ალაჰის ადათს შეცვლა“ (ყურანი 35:41(43)).* უფლის ქმნილება იმდენად დახვეწილია, რომ შეუძლებელია ყველა ადამიანის მოთავსება მარტივად განსაზღვრად „მდედრობით“ ან „მამრობით“ ჩარჩოებში.

ბიოლოგიის, ფიზიკისა და სხვა მეცნიერებების ახალი აღმოჩენები გვიბიძგებს ყურანისეული გენდერული წყვილების მეტაფორები უფრო ღრმად გავიაზროთ. მეორე მხრივ, ყურანის უფრო ჩაღრმავებით წაკითხვას შეუძლია გვიბიძგოს, ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილებებისადმი უფრო მგრძნობიარეები ვიყოთ. ყველა საზოგადოებაში არის ხალხი, ვისი გენდერული იდენტობაც კაცსა და ქალს შორის იმ ნორმატიულ განსხვავებას სცდება, რომელზეც პატრიარქალური სისტემაა დამყარებული. ამ ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილება მოიცავს თავიანთი ოჯახებისა და თემების ღრმად ჩაბეჭდილ წინასწარგანწყობებთან ჭიდილს. ამ ადამიანების ისტორიები, შესაძლოა, ბევრისთვის ამაღელვებელი და ასევე, შემაშფოთებელიც იყოს, რადგან ეს ამბები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ისეთ საკითხებს, რომლებზეც ჩვენს უმრავლესობას არასოდეს უფიქრია: როგორ ხდებიან მამრები ბიჭები, შემდეგ კი - კაცები, ხოლო მდედრები - გოგონები და შემდეგ, ქალები? იქნებ ეს პროცესი ბოლომდე ბუნებრივი და გარდაუვალი არ არის? იქნებ ბუნება

სინამდვილეში ბევრად უფრო კომპლექსურია, ვიდრე ამას ჩვენი კულტურა უშვებს? იქნებ სინამდვილეში, უფლის ქმნილება, როგორც ის ბუნების კომპლექსურობაშია გამოხატული, უფრო ფართო და ღრმაა, ვიდრე ჩვენი რელიგიური ტრადიციები გვაჩვენებს, რადგან ეს ტრადიციები წარსულის კულტურული წინასწარგანწყობების კონტექსტში ჩამოყალიბდა? უარესად მნიშვნელოვანია, სხვა მუსლიმებს ესმოდეთ იმ მუსლიმების ხმა, რომლებიც ტრანსგენდერული იდენტობის გამოცდილებით ცხოვრების რთულ გზას გადიან. ამ ადამიანების ხმების გაგონების გარეშე, რომლებიც საკუთარი ღრმა თვითდაკვირვებისა და მტკივნეული არჩევანის შესახებ მოგვიყვებიან, აქ მოყვანილი თეოლოგიური მსჯელობა აბსტრაქტული დარჩება, ცოცხალ სულს მოკლებული. ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმა აქტივისტებთან, რომლებიც ტრანსგენდერ მუსლიმებად იდენტიფიცირდებიან, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აქ მოცემულ თეოლოგიურ მსჯელობაში, თუმცა ეს წიგნი არ იძლევა საშუალებას, მათი სიტყვები და პიროვნული მხარეები ჯეროვნად გადმოვცეთ. იმედია, მკითხველი გაეცნობა ჩემს შემდეგ პუბლიკაციას, სადაც საშუალება ექნებათ თავად წაიკითხონ ინტერვიუები და ამ ადამიანების გამოცდილებას მათივე სიტყვებით გაეცნონ.

თითოეული გამოკითხული მუსლიმი აქტივისტი ეწინააღმდეგებოდა გენდერის მკაცრად დუალისტურ დაყოფას, რომელსაც მათი ისლამური თემები მკაცრად იცავენ. გენდერის ამ დადგენილი საზღვრის გადაკვეთა ოჯახის, შვილებისა და საზოგადოებაში საკუთარი სტატუსის დაკარგვის საფრთხეს ნიშნავს. მართლაც, ტრანსგენდერი მუსლიმები უფრო აშკარა დევნას განიცდიან, ვიდრე ლესბოსელი ან გეი მუსლიმები, რადგან მათი არატრადიციული გენდერული იდენტობა, სექსუალური ორიენტაციისგან განსხვავებით, თვალნათლად ჩანს მათ გარეგნობაში. მათი დევნის გამოცდილებასთან დაკავშირებით, არ არის საკმარისი გამოვიკვლიოთ, რას ამბობს ყურანი, როგორც წმინდა წერილი, გენდერულ ინდენტობასა და ნორმებზე, რადგან მუსლიმური თემები, როგორც წესი, წევრების ქცევის რეგულაციისთვის შარიათს მიმართავენ და არა ყურანს. აქედან გამომდინარე, საჭიროა დავსვათ შეკითხვა: „რას ამბობს ისლამური შარიათი ტრანსგენდერული ქცევის შესახებ?“

ჩვენ ვნახეთ, რომ ყურანი უფლის სიტყვას გადმოგვცემს გენდერის ღრმად კომპლექსური ურთიერთქმედების საშუალებით, იშველიებს როგორც მამრობითს, ისე მდედრობითს და ასევე ტოვებს სივრცეს მათ შორის, განუსაზღვრელობისათვის. ღმერთის რთული პოეტური მეტყველების გამარტივების ტოლფასი იქნება იმის თქმა, რომ ყურანი აწესებს, რომ კაცი კაცურად უნდა იქცეოდეს და ქალი ქალურად - მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმი სწავლულები სწორედ ასე აღიქვამენ ტექსტს; ხოლო ცნობილი იდეოლოგები, როგორცაა შეიხი კარადავი, ამ აზრს უფრო მარტივი ტერმინებით გამოხატავს. თუმცა, შარიათი მხოლოდ ყურანზე არაა დაფუძნებული. შარიათი ეყრდნობა ასევე მოციქულის მაგალითს, რომელიც გადმოცემებშია შემონახული მუსლიმი თაობების მიერ. მასზე ასევე გავლენა აქვს გვიანდელი სწავლულებისა და კანონების მცოდნეების გადაწყვეტილებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც გადმოცემულია ფიკჰის გადაწყვეტილებებში. ამ თავის შემდეგ ნაწილში (ნეოტრადიციონალისტების იდეოლოგიების ნაჩქარევი და გამარტივებული მეთოდებისაგან განსხვავებით) სისტემურად და სიფრთხილით გამოვიკვლევთ ტრანსგენდერულ ქცევასა და

იდენტობას ყურანის, ჰადისებისა და ფიკჰის კონტექსტში, და შემდეგ შევაჯამებთ, რას ამბობს ან რას შეიძლება ამბობდეს შარიათი ამ ფენომენის შესახებ.

ჰადისები და მოციქული მუჰამადის მაგალითი

ყურანის შემდეგ მოციქულის გადმოცემებსა და ზეპირსიტყვიერ თხრობებს უნდა შევხედოთ, მოციქული მუჰამადის ცხოვრების შესახებ. ამ წიგნის მესამე და მეოთხე თავებში აღვნიშნეთ, რომ ისლამური ტრადიცია არ გვამლევს იმის უტყუარ მტკიცებულებას, რომ წინასწარმეტყველმა მუჰამადმა ოდესმე განიხილა ჰომოსექსუალური ურთიერთობის შესახებ არსებული საქმე. კანონის მცოდნეებმა თავიანთი ფიკჰის გადაწყვეტილებები მოციქულის თანმხლები პირებისა და მორალისტების შემდეგი თაობების მოსაზრებებზე დააფუძნეს. თუმცა, როდესაც ტრანსგენდერულ ქცევასთან გვაქვს საქმე, სრულად საწინააღმდეგო სურათი გვხვდება. განსხვავებით ჰომოსექსუალური ურთიერთობისა, ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ მოციქულს მედინაში ყოფნისას ურთიერთობდა და ხვდებოდა ადამიანებს, რომლებიც გაწერილ გენდერულ საზღვრებში არ თავსდებიან.

ცნობები, რომლებიც წინასწარმეტყველის ცოლებსა და მის თანმხლებ პირებს მიეწერებათ, გადმოგვცემენ, რომ ის ურთიერთობდა როგორც მუხანას ან ფემინურ კაცებთან, ასევე - საჭურისებთან. ამის გამო, შეიძლება გვეკონდეს მოლოდინი, რომ შარიათი უფრო ცხად პოლიტიკას გვთავაზობს გენდერულ განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით, ვიდრე ჰომოსექსუალობის შემთხვევაშია. მართლაც, კლასიკური შარიათი თანამედროვე კანონმცოდნეებს უფრო მეტ შემოქმედებით და თანაგრძნობით სავსე გზას სთავაზობს, როდესაც საქმე ტრანსგენდერულ ქცევას ეხება. ნათელია, რომ როგორც მუხანასი, ისე საჭურისები, მოციქულის ოჯახისა და კარის ნაწილი იყვნენ და სავარაუდოდ, მოციქული ხშირად ხვდებოდა მათ მედინაში ყოფნისას. კაცების ორი კატეგორია, რომელიც გენდერულ ნორმებში არ ჯდებოდა, უფრო ცხადად იყო გამოყოფილი, მიუხედავად იმისა, რომ შუასაუკუნეებში მათ შორის განსხვავება ბუნდოვანი იყო. მესამე თავში ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ, როგორც გადმოცემებიდან ვიცით, მოციქულის სახლში, მის ცოლებს ხშირად სტუმრობდნენ მუხანასები ან ფემინური კაცები. გადმოცემა უმ-სალამას შესახებ დეტალურად იყო შესწავლილი, თუმცა, სხვა ცოლებსაც (მაგალითად, აიშას) ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ამ ადამიანებთან. მუხანასები პრე-ისლამური კულტურის ყოველდღიურობის ნაწილი იყვნენ მექასა და მედინაში და ასევე დარჩნენ ისლამური თემის ჩამოყალიბების შემდეგაც. ამისგან განსხვავებით, როგორც ჩანს, საჭურისობა ახალი ფენომენი იყო მედინას ადრეულ ისლამურ თემში.

პირველი საჭურისი, რომლის შესახებაც არსებობს ცნობები, მარიას დასაჭურისებული მსახური იყო. მარია (გარდაიცვალა 637 წ.) კოპტური ქრისტიანული წარმოშობის ეგვიპტელი ქალი იყო, რომელიც შუამავალს ხარჭად ჰყავდა. მარია მოგვიანებით გათავისუფლდა, თუმცა დაქორწინდა თუ - არა, ამის შესახებ ცნობები სადაოა. დანამდვილებით ვიცით, რომ მარია თავიდან ბიზანტიელმა პატრიარქმა კიროსმა (არაბულად ალ მუკავკისი), ეგვიპტის მმართველმა, მოციქულ მუჰამადს გადასცა, როგორც „ძღვენი“. მაღალი სტატუსის მონა ქალ

მარიას, თავის დასთან ერთად, პირადი მსახური ემსახურებოდა: საჭურისი, რომელიც, სავარაუდოდ, ეგვიპტეში დაასაჭურისეს, ალბათ, ან ეგვიპტელი იყო, ან ეთიოპიელი. მსახურებს იმისთვის ასაჭურისებდნენ, რომ მაღალი სტატუსის ქალების დაცვა და მომსახურება შეძლებოდათ მათი უმანკოების შელახვის საფრთხის გარეშე.³¹ მოციქულმა მუჰამადმა თქვა, რომ მუსლიმებმა არ უნდა დაასაჭურისონ თავიანთი მონა კაცები; მარიას საჭურისი მუსლიმების დასაჭურისებული არ ყოფილა. ეს ოპერაცია მას იქამდე ჩაუტარდა, ვიდრე მარიასთან ერთად ისლამურ გარემოში მოხვდებოდა.

გადმოცემები ცხადად გვეუბნება, რომ მარიას საჭურისი ჰყავდა მას შემდეგაც, რაც მოციქულის ხარჯა გახდა. ამ სიახლემ ოჯახში გამოიწვია არეულობა და შური შუამავლის ცოლებში, რომლებსაც მარია სძულდათ. ისინი უკმაყოფილოები იყვნენ, რომ მოციქული დათანხმდა საჩუქრად მიეღო ლამაზი, ახალგაზრდა მონა ქალი. საფრთხედ აღიქვამდნენ მარიას უცხოურ, დახვეწილ ეგვიპტურ ჩვევებს; აღშფოთებულები იყვნენ, რომ მარიამ ქრისტიანობა შეინარჩუნა და ისლამის მიღებაზე უარს ამბობდა (ყოველ შემთხვევაში, თავიდან). მარიასთან შუამავლის სექსუალურმა ურთიერთობამ მის ოჯახში კრიზისი გამოიწვია - მისმა ორმა ცოლმა, აიშამ და ჰაფსამ მას შეთქმულება მოუწყო, რის გამოც მოციქული თავის ყველა ცოლს განქორწინებით დაემუქრა.³² იმდენად მწვავე იყო ეს კრიზისი, რომ თავად უმარ იბნ ალ-ხატაბი პირადად ჩაერია და ცოლები, მათ შორის საკუთარი ქალიშვილი ჰაფსაც სასტიკად გააკრიტიკა. კრიზისი იმდენად ღრმა იყო, და მისი პოლიტიკური შედეგები იმდენად სავალალო იყო ახალგაზრდა ისლამური საზოგადოებისათვის, რომ მოციქულის ცოლების ქცევის შესახებ საუბარი ყურანშიცაა (ყურანი 33:28-29, 66:1-5).

შესაძლოა, საკუთარ ოჯახში არსებული არეულობის გამო, მოციქულს მარია ცალკე ჰყავდა მისი სხვა ცოლებისგან განსხვავებით, რომლებიც ერთ სახლში ცხოვრობდნენ (თემის მეჩეთთან ახლოს). მარია მედინას ჩრდილოეთ საზღვართან ცხოვრობდა სახლში, სადაც მას საჭურისი ემსახურებოდა და მოციქული ხშირად სტუმრობდა. მარია დაფეხმძიმდა და ბიჭი გააჩინა, რომელსაც მოციქულმა იბრაჰიმი (აბრაამი) დაარქვა. აბრაამი შუამავლის ერთადერთი ვაჟი იყო, მისი უფრო გავლენიანი ცოლები, როგორებიც იყვნენ აიშა, ჰაფსა და ზეინაბი, არასოდეს დაფეხმძიმებულან. ამან მარიას სტატუსი აამაღლა, რამაც სხვა ცოლებში შური კიდევ უფრო გააღვივა, რადგან მოციქული, როგორც კანონიერ ცოლებს, ისე მას „მორწმუნეთა

³¹ Stowasser, *Women in the Qur'an*, გვ. 87, 167 სქოლიო 16. ბიზანტიურ საზოგადოებაში საჭურისების შესახებ (არაბ-ისლამურ დაპყრობამდე ეგვიპტის შესახებაც, მათ შორის) - იხ. Herdt, *Third Sex, Third Gender*, თავი 1. ასევე, Ringrose, *The Perfect Servant*. ეგვიპტესა და ეთიოპიაში, ქრისტიანული თემები შესაძლოა განსაკუთრებულად მიმდებლები ყოფილიყვნენ საჭურისების მიმართ, რადგან ფილიპე მოციქულმა ქრისტიანობა, სავარაუდოდ, ეთიოპიელი საჭურისისგან მიიღო (იხ. ბიბლია, საქმეები 8:27). მათეს სახარება სახარება გადმოსცემს იესოს ქადაგებას: „რადგან არიან საჭურისნი, რომელნიც თავიანთი დედის მუცლიდან იშვნიან ასეთებად, და არიან საჭურისნი, რომელნიც ადამიანებმა დაასაჭურისეს, და არიან საჭურისნი, რომელთაც თვითონ დაისაჭურისეს თავი ცათა სასუფეველისათვის.“ (ბიბლიის ქართული თარგმანი აღებულია 2013 წლის გამოცემიდან, მთარგმ. შენ.)

³² Stowasser, *Women in the Qur'an*, გვ. 96

დედას“ უწოდებდა და ავალდებულებდა, სხვა კაცებისაგან თავი შორს დაეჭირა, რაც თავისუფალი მუსლიმი ქალებისაგან (რომლებიც საჯარო სივრცეში თავსაბურავს ატარებდნენ) და მონა ქალებისგან (რომლებიც საერთოდ არ ატარებდნენ თავსაბურავს) განასხვავებდა მარიას.

მარიასადმი სიძულვილმა გამოიწვია ისიც, რომ მარიას საჭურისთან ერთად ცხოვრებაც ბრახს იწვევდა. სხვებისთვის საჭურისი ჩვეულებრივი კაცი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მარია - რომაული, ბიზანტიური და სპარსული არისტოკრატიული ტრადიციების შესაბამისად, მას კაცად არ აღიქვამდა. მოციქულ მუჰამადს, სავარაუდოდ, თავიდანვე ჰქონდა მარიასთან შეთანხმება, რომ საჭურისი მის ოჯახში სექსუალური მიზიდულობის ან გენდერული უთანხმოების საფრთხეს არ წარმოადგენდა, რადგანაც მარიას მასთან ერთად ცხოვრების უფლება მისცა. საჭურისის სტატუსი საჯარო განხილვის საგანი მას შემდეგ გახდა, რაც მარია დაფხმძიმდა. მედინელები, რომლებსაც მოციქული სძულდათ, ჭორებს ავრცელებდნენ, რომ საჭურისი „კაცი“ იყო და მარიასთან სექსუალური ურთიერთობაც შეიძლება ჰქონოდა; ისინი ამბობდნენ: მოლაღატე კაცი მოლაღატე ქალთან იყო.³³ ბოროტი ჭორების გავლენა მხოლოდ გაიზარდა სხვა ცოლების ეჭვიანობის გამო, რის შემდეგაც თავად შუამავალსაც გაუჩნდა ეჭვები. მოციქულმა თავისი ყველაზე სანდო ნათესავი, 'ალი იბნ აბი ტალიბი გაგზავნა ამ ბრალდებების გამოსადიებლად. „როდესაც ალი, ხმლით ხელში, კოპტს (ეგვიპტელ საჭურისს) მიუახლოვდა, კაცი ფინიკის პალმაზე იყო ასული და თავისი ტანსაცმელი მოისროლა, ანდა მისი მიახლოებისას აძვრა პალმაზე და ტანსაცმელი ჩამოუცურდა. ნებისმიერ შემთხვევაში, „ალიმ დაინახა“, რომ გენიტალიები არ ჰქონდა „არც პენისი და არც სათესლეები“.³⁴ ალი გაგზავნილი იყო „გამოსადიებლად“, თუმცა ცნობა მიგვანიშნებს, რომ თუკი საჭურისი „ნამდვილი“ კაცი აღმოჩნდებოდა, ალი მას თავს დაესხმებოდა და შეიძლება მოეკლა კიდევ. თუმცა, მისი ანატომიური მდგომარეობის დანახვის შემდეგ „ალი თავს არ დაესხა საჭურისს“. ის მოციქულთან წავიდა და ჰკითხა, შეიძლებოდა თუ არა მის ბრძანებას არ დამორჩილებოდა, თუ სიტუაცია ისეთი არ აღმოჩნდებოდა, როგორც ნავარაუდები იყო. მოციქული დაამშვიდა და უთხრა, რომ სწორად მოიქცა. როგორც ჩანს, ამ თვითმხილველის ცნობამ კაცის საჭუროსობის შესახებ, მოციქული დაამშვიდა. საჭურისის დასჯის ან მარიასთან ცხოვრებისა და თავისი მოვალეობების შესრულების აკრძალვის მტკიცებულებები არ არსებობს. სხვა ჰადისი ამტკიცებს, რომ როდესაც მარიამ ვაჟი გააჩინა, ანგელოზი გაბრიელი მოციქულს ასე მიესალმა: „მშვიდობა შენდა, აბრაამის მამაო“. ასეთმა ღვთიურმა გამოცხადებამ, როგორც ჩანს, საბოლოოდ გააქრო ეჭვები, რომლებიც შეიძლება მოციქულს ჯერ კიდევ ჰქონოდა მამობასთან დაკავშირებით და ირიბად დაადასტურა საჭურისის განსაკუთრებული სტატუსი. ამის შემდეგ, შუამავალმა,

³³ იქვე, გვ.112, ჭორის ეს თარგმანი მომდინარეობს იბნ სადის მიერ ჩაწერილი ჰადისიდან. Ibn Sa'd, *Kitab al-Tabaqat*, ტომი 8, გვ. 154–155

³⁴ იქვე, გვ.112

სავარაუდოდ, მარია გაათავისუფლა, თავისუფალი ცოლის სტატუსი მისცა - ის ხარჭა აღარ იყო.³⁵

ამ კონფლიქტის საბაზი უფრო მეტად შუამავლის ცოლების ექვიანობა იყო და არა საჭურისის გენდერული სტატუსის ბუნდოვანება. კონფლიქტის შედეგად ადრეულ ისლამურ საზოგადოებაში არ აუკრძალავთ საჭურისები. პირიქით, როგორც ჩანს, ამ აზმავმა უფრო გაამყარა მათი სამართლებრივი სტატუსი, სარგებლიანობა და საზოგადოების სრულფასოვანი წევრობის პოტენციალი. ზოგიერთი ცნობა ირწმუნება, რომ მარიას საჭურისი მსახური სინამდვილეში „მისი ძმა“ იყო. ბუნდოვანია, ამ ცნობების ავტორები „ძმაში“ მართლაც ძმას გულისხმობდნენ, თუ ამ ადამიანისა და მარიას ახლო ურთიერთობის არასექსუალურ ხასიათს აღწერდნენ. ნესისმიერ შემთხვევაში, საჭურისებს ისლამურ საზოგადოებაში ისეთივე ადგილი ჰქონდათ, როგორც ბიზანტიურ და სხვა შუა-აღმოსავლურ და ხმელთაშუაზღვისპირულ საზოგადოებებში: მაგალითად, „საწოლის მცველი“ (ინგლ. *eunuch* - ბერძნულიდან მომდინარეობს. *eure* - საწოლი, *ekhein* - მცველი). საჭურისები მაღალი სტატუსის მფლობელებს ძილის წინ ამზადებდნენ, ჩაცმაში, ბანაობასა და მოწესრიგებაში ეხმარებოდნენ, თმასა და ფრჩხილებს ჭრიდნენ. მომდევნო საუკუნეებში, საჭურისები ადვილად ასიმილირდნენ ისლამურ კულტურაში, მმართველ ფენაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მუსლიმებმა მდიდარი იმპერიის შენება დაიწყეს, რომელმაც მოიცვა და შეითვისა ბიზანტიელი რომაელებისა და ზოროასტრიელი სპარსელების მიწები და ტრადიციები. არისტოკრატიულ ოჯახებში სახლში მონებად, კონკრეტულად კი, ქალების ოთახების მცველებად საჭურისების ყოლა მაღალი სტატუსის მაჩვენებელი იყო. მკაცრად პატრიარქალურმა კანონმდებლებმა საჭურისები ისევე ადვილად მიიღეს, როგორც ხარჭები. ისლამურ კანონებში მათ არსებობას ლეგალური საფუძველი ჰქონდა.

მუსლიმი კანონმდებლებისთვის არანაირ უხერხულობას არ წარმოადგენდა საჭურისების სოციალური როლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება. მათი აზრით, საჭურისები „არც-ერთ-არც-მეორე“ გენდერულ პოზიციას იკავებდნენ კაცსა და ქალს შორის. მათი ბუნდოვანი სტატუსი მხოლოდ ამყარებდა ტრადიციულად განაწილებულ ქალისა და კაცის გენდერულ როლებს, რომლებს შორისაც აღრევა არ შეიძლებოდა. კანონმდებლებისთვის უფრო მიუღებელი იყო მუსლიმი კაცის დასაჭურისების იდეა, შესაბამისად, მხოლოდ ომში შეპყრობილი ან მონად გაყიდული არამუსლიმი ახალგაზრდა კაცების დასაჭურისება იყო დაშვებული. კანონმდებლები ასევე ეჭვით უყურებდნენ მუსლიმის მიერ დასაჭურისებას, ამიტომ ეს ოპერაცია არამუსლიმ მონათმფლობელს უნდა ჩაეტარებინა, ვიდრე საჭურისებს მუსლიმებს მიჰყიდდა სახლის მსახურებად. მას შემდეგ, რაც მუსლიმურ ოჯახში დადგებოდნენ მსახურებად, ისინი მუსლიმები უნდა გამხდარიყვნენ და ისეთივე მორალური

³⁵ იქვე, გვ.113. კვლავ მოიხმობს ჰადისს Ibn Sa'd, *Kitab al-Tabaqat*, გვ. 154–155. მოგვიანებით თაობებში ეს მოდელი ისლამური კანონით იქნა დადგენილი, რომლის მიხედვითაც ქალი მონა რომელიც მუსლიმ მფლობელს ვაჟს გაუჩენს, ის ლეგალურად უნდა იყოს მიჩნეული ბავშვის დედად (*umm walad*), და მისი სტატუსიც იცვლება: გაყიდვისა და სხვა კაცზე დაქორწინებისგან დაცულია, მისი მფლობელის სიკვდილის შემდეგ კი თავისუფალი ხდება.

ვალდებულებები უნდა აეღოთ საკუთარ თავზე, როგორც სხვა მორწმუნეებს. საჭურისები უნდა დასწრებოდნენ საერთო ლოცვებს, ისინი უნდა დამდგარიყვნენ კაცების უკან, თუმცა ქალებზე წინ. მათი იქ ყოფნა ქმნიდა ერთგვარ ადამიანების ფარდას ორ სქესს შორის, მეჩეთის შიგნითაც კი.

მუხანასები ასე ადვილად ვერ მოერგნენ ახალ ისლამურ საზოგადოებას. როდესაც შარიათზე ვსაუბრობთ, საჭურისები თანამედროვე ტრანსგენდერი მუსლიმების ანალოგად არ გამოდგება. მართალია საჭურისები გენდერულად განუსაზღვრელ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ ეს მდგომარეობა საზოგადოების დაწესებული იყო, მათი ნებართვის გარეშე. გენდერული განუსაზღვრელობა მათზე ძალადობის შედეგი იყო და არა პიროვნული თვისებებისა და შინაგანი განწყობისა, როგორც ამას თანამედროვე ტრანსგენდერი ადამიანები ამბობენ საკუთარ თავზე. აქედან გამომდინარე, საჭურისები წარმოადგენდნენ საზღვარს ორ მკაცრად განსაზღვრულ გენდერს შორის, საკუთარ პიროვნებებში საზღვრის რეალურად გადალახვის გარეშე. მათ ნებაყოფლობით არასოდეს აურჩევიათ, რომ ქალის მსგავსი ქცევა ჰქონოდათ, მიუხედავად იმისა, რომ კაცებად დაბადებულები იყვნენ და კაცებად იზრდებოდნენ. უფრო მეტიც, საჭურისის როლის შესაბამისი ქალის როლი არ არსებობს - საჭურისები უნიკალურად კაცები იყვნენ, როგორადაც მამაკაცის სასქესო ორგანოების მოკვეთის შემდეგ ყალიბდებოდნენ. ეს პროცედურა სათესლე ჯირკვლების მიერ წარმოებული ჰორმონების შემდგომ დეფიციტს უწყობდა ხელს და ამის შედეგად მიღებული გენდერული განუსაზღვრელობა სრულუფლებიან კაცებსა და უფლებაწართმეულ ქალებს შორის განსხვავების გასამტკიცებლად გამოიყენებოდა.

მუხანასები უფრო გამოდგებიან თანამედროვე ტრანსგენდერი ადამიანების ანალოგიად. მიუხედავად იმისა, რომ მუხანასები იყვნენ კაცები, რომლებმაც თავისი ნებით თქვეს უარი მასკულინურ სოციალურ როლზე ქალური ქცევის სასარგებლოდ, და მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ამისი საპირწონე მასკულინური ქალებისათვის ისლამურ საზოგადოებაში, ეს ანალოგია მაინც გამოდგება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადრეული ისლამის მასკულინურ გარემოში, შესაძლებელი იყო, კაცად დაბადებულს უარი ეთქვა კაცის გენდერულ როლზე, გამხდარიყო მუხანასი და ყოფილიყო „კაცი-არა-მაგრამ-ქალის-მსგავსი“, თუმცა, ქალად დაბადებულებს არ ჰქონდათ მასკულინური გენდერული იდენტობის მიღების საშუალება. პატრიარქალურ გარემოში, კაცებს შეეძლოთ იერარქიულ კიბეზე „დაბლა ჩამოსულიყვნენ“ და ქალის მსგავსები გამხდარიყვნენ, მაგრამ ქალებს არ შეეძლოთ „მაღლა ასვლა“ და კაცებად ქცევა. გენდერული ამბივალენტობის წინააღმდეგ არსებული ბარიერები ქალებისთვის უფრო მკაცრია.

საყურადღებოა, რომ ადრეული მუსლიმები აცნობიერებდნენ, რომ მუხანასი გენდერულად განუსაზღვრელ როლს ირგებდა და ასევე იქცეოდა მისი შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარე. ეს ქცევა დასაძრახად არ მიიჩნეოდა. მესამე თავში აღვნიშნეთ, რომ სხვადასხვა გადმოცემების მიხედვით, მოციქულმა მუხანასი, რომელიც ხშირად იყო მის სახლში, მას შემდეგ გააძევა, რაც მან ეთიკური ნორმები დაარღვია (კონკრეტულად კი ის ქალების ცხოვრების შესახებ ინფორმაციას იყენებდა ჰეტეროსექსუალი კაცების დასახმარებლად, რომ ისინი ამორალურ ურთიერთობაში ყოფილიყვნენ დაუქორწინებელ ქალებთან). ადრეული

პერიოდის მუსლიმი ლიდერები მუხანასს არ განსაზღვრავდნენ მათი სექსუალური ქცევისა თუ სექსუალური ორიენტაციის მიხედვით. მუხანასის განსაზღვრებაში მთავარი იყო მათი ქცევა (საუბარში, მანერებში, სიარულში, ჩაცმულობაში) გამოხატული გენდერული იდენტობა. იბნ ჰაბიბის (გარდაიცვალა 852 წ.) მიხედვით, მუხანასი არის „ფემინური კაცი, თუნდაც არაფერი იყოს ცნობილი მისი ბრალეულობის შესახებ ამორალურ ქცევაში, განსაზღვრება მომდინარეობს მისი ზანტი სიარულის მანერიდან და სხვა ქცევიდან (რომლებიც ქალის ქცევას წააგავს)“.³⁶ განმარტებების სხვა ავტორები გამოყოფენ მცირედ განსხვავებებს იმ კაცებს შორის, რომლებიც შინაგანი ბუნებიდან³⁷ გამომდინარე იქცეოდნენ ფემინურად და რომლებიც არაბუნებრივად³⁸, სხვა მიზეზების მისაღწევად იწყებდნენ ასე ქცევას. ამ ავტორების აზრით, მხოლოდ ეს უკანასკნელი იმსახურებდნენ გაკიცხვას. ისინი აცნობიერებდნენ, რომ ზოგიერთი ინდივიდისთვის ასეთი ქცევა მათი გენდერული იდენტობის გამოხატვა იყო, ფენომენი, რომელსაც დღევანდელი კლინიკური ტერმინოლოგიის მიხედვით „ტრანსგენდერულ“ იდენტობას ვუწოდებთ. ეს არ იყო დასაძრახი ქცევა. თუმცა, მუსლიმი მორალისტები ასეთ ადამიანებს ბრალეულად მიიჩნევდნენ, თუკი ამ ადამიანების ქცევა არ იყო მათი შინაგანი მდგომარეობის გამომხატველი.

ვინ ხდებოდა მუხანასი მედინაში მოციქულის ცხოვრების განმავლობაში და მომდევნო თაობებში? რატომ უნდა მიეზამა კაცად დაბადებულს შეგნებულად ქალის ჩაცმულობისა და ქცევისათვის ადრეულ ისლამურ საზოგადოებაში, თუკი ეს მათი შინაგანი ბუნების გამომხატველი არ იყო? მუხანასებს განსაკუთრებული როლი ეკავათ მედინაში და იქიდან გავრცელებულ ისლამურ საზოგადოებაში, საზოგადოებაში მიღებულ ფემინურ კაცს ზოგიერთი უჩვეულო პრივილეგია გააჩნდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეს ადამიანი სექსუალური მიზიდულობის ეკონომიკის ყოველდღიური რუტინის მიღმა იდგა და საკმაოდ მოქნილ ადგილს იკავებდა გამიჯნულ გენდერულ როლებს შორის. მუხანასს წვდომა ჰქონდა ქალების პირად საცხოვრებლებზე, რაც სხვა კაცებს ეკრძალებოდათ. მათ ასევე შეეძლოთ საჯარო სივრცეებში ყოფნა, სადაც კაცებს მთავარი პოზიცია ეკავათ, ხოლო ქალები არ დაიშვებოდნენ. ზოგიერთი მუხანასი ირგებდა მომღერლის, კომიკოსის, შემსრულებლის როლს, რისი საშუალებითაც მათი განსაკუთრებული გენდერული იდენტობით სარგებელს ნახულობდნენ. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა, როდესაც მედინა მსოფლიო იმპერიის მდიდარი და ფუფუნებით სავსე დედაქალაქი გახდა მოციქულის გარდაცვალების შემდგომი ათწლეულების განმავლობაში. ადრეულ ისლამურ პერიოდში, მუსიკოსები და მომღერლები ძირითადად ქალები იყვნენ, კაცად აღზრდილ ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო მუსიკალურ საქმიანობაში წარმატების მიღწევა, თუკი მუხანასი იქნებოდა, მიატოვებდა კაცის პატრიარქალურ როლს და გახდებოდა ფემინური, იდენტობის თანმდევნი ყველა პრივილეგიითა და საფრთხით. თუმცა, ასეთი უპირატესობები, შესაძლოა, ბოროტად ყოფილიყო გამოყენებული და ზოგიერთ მუხანასი ბრალს სდებდნენ ჰეტეროსექსუალ

³⁶ Rowson, “Effeminates of Early Medina,” p. 66

³⁷ خَلْقِي /ḥilqī/ ბუნებრივი; თანდაყოლილი

³⁸ تَكْلُفِي /takallufī/ – არაბუნებრივი; ხელოვნური

წყვილებთან რომანტიკულ პაემნებსა და მრუშობაში. ეს დინამიკა კარგადაა გამოხატურლი ჰითის (*Hit*) ისტორიაში, რომელიც მესამე თავშია განხილული. მოციქულმა მუხანასი გააძევა იმის გამო, რომ ის ჰეტეროსექსუალურ ლტოლვას აღვივებდა. მოგვიანებით, მოციქულის გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ, უმაიანთა იმპერიის მმართველები ხანდახან მუხანასებს სჯიდნენ ჰეტეროსექსუალური მრუშობის სავარაუდო ან რეალური ხელშეწყობის გამო, მაგრამ არასოდეს - მათი უჩვეულო გენდერული იდენტობის გამო.

მუხანასების შესახებ ისტორიებს ინახავს ისლამური საზოგადოების ადრეული საუკუნეების ლიტერატურული წყაროები, როგორებიცაა ალ-ისპაჰანის სიმღერათა წიგნი (*Kitab al-Aghani, al-Isfahani*, გარდ. 967წ.). არაბული ლიტერატურის მკვლევარ ევერეტ როუსონს (*Everett Rowson*) აღწერილი აქვს, როგორ იყენებდნენ მუხანასები თავიანთ უჩვეულო გენდერულ იდენტობას ხელისუფლების დასაცინად. ისინი უზურპაციის გზით გამეფებულ ომაიან ხალიფებს აკრიტიკებდნენ, რაც სხვა მუსლიმებს არ შეეძლოთ; უჩვეულო გენდერული იდენტობა მათ საშუალებას აძლევდა მასხარებივითა და კომიკოსებივით მოქცეულიყვნენ და ამით აბუჩად აეგდოთ საეჭვო ლეგიტიმაციის მქონე ხელისუფალთა ეგოისტური ბრძანებები. მუხანასის, სახელად ფინდის შესახებ ერთ-ერთი ისტორია ამ დინამიკას ნათლად გადმოსცემს. ომაიანთა დინასტიის მეფე მუავია (გარდ. 685 წ.) ხშირად ცვლიდა მედინას მმართველებს. მედინას ორი მმართველი, მარვან იბნ ალ-ჰაკამი (გარდ. 685 წ.) და მისი ძმა იაჰია დიდწილად მუხანასების დევნაზე იყვნენ პასუხისმგებელნი. მარვანს, ერთ-ერთი პოეტის მიერ თავის ლექსებში სასიყვარულო თავგადასავლებზე ტრაბახზე დაყრდნობით ეჭვი გაუჩნდა, რომ მუხანასი, სახელად ფინდი, კაცებსა და ქალებს შორის მრუშულ ურთიერთობებს უწყობდა ხელს. ერთხელ, როდესაც მმართველის პოზიციიდან იყო გათავისუფლებული, მარვანი ფინდს ქუჩაში შეხვდა, „გარყვნილებაში“ დაადანაშაულა და დაემუქრა მას. ფინდი მშვიდად შეტრიალდა და უპასუხა, „დიახ, მართალს ამბობ ჩემზე! მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორი მახინჯი ყოფილი მმართველი ხარ!“ მარვანმა გაიცინა და დასძინა, „იცინე სანამ შეგიძლია, ძალიან მალე გაიგებ, რასაც გიპირებ!“³⁹ ფინდმა შეურაცხყოფა მიაყენა ყოფილი მმართველის გარეგნობას და ხაზი გაუსვა, რომ თანამდებობიდან მოხსნეს და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ის მაშინვე არ დაუსჯიათ და ძლევამოსილი კაცი საკუთარ მდგომარეობაზე გააცინა კიდევ. როგორც მუხანასს, ფინდს შეეძლო ავტორიტეტულ ადამიანებს შეწინააღმდეგებოდა, სასჯელის მუქარა საზოგადოებაში საკუთარი, როგორც კომიკოსის სტატუსის ასამაღლებლად გამოეყენებინა. თუმცა, მარვანის მუქარა რეალობად იქცა. მერვე საუკუნის დასაწყისში, მედინას ომაიანმა მმართველმა ბრძანება გასცა, რომ ყველა მომღერალი (მუხანასებიცა და ჩვეულებრივი მუსიკოსი კაცებიც) დაესაჭურისებინათ. ალ-ისპაჰანის მიერ მოთხრობილ ამ ისტორიაში, მმართველი განრისხდა, როცა მისმა მონა გოგომ, რომელიც მას მოსწონდა, წამით ყურადღება არ მიაქცია, რადგანაც შორიდან კაცის სიმღერას აყურადებდა. ექვიანობის გამო მმართველმა კაცის დასაჭურისება ბრძანა, არა მხოლოდ მისი, არამედ ყველა კაცი მომღერლისა და მუხანასებისაც. მუხანასები კასტრაციის ბრძანებაში შესაძლოა იმის გამო მოექცნენ (რაც განსაკუთრებით სასტიკი იყო თუკი გავითვალისწინებთ, რომ ისინი

³⁹ იქვე, გვ.81

საზოგადოებაში ნამდვილ კაცებად არც კი ითვლებოდნენ), რომ ისლამის მორალისტების გული მოეგო და ნამდვილი მიზეზი (ჰეტეროსექსუალი კონკურენტის მასკულიზაციის შეზღუდვა) დაემალა. რამდენიმე მუხანასი დაასაჭურისეს, მათ სათესლები და პენისი მოკვეთეს. წყაროებში აღწერილია, რომ მუხანასები ამ სისასტიკეს სარკასტული იუმორით შეხვდნენ: „ეს ხომ უბრალოდ კიდევ ერთი წინადაცვეთაა“ ამბობდნენ ისინი, ან „მაინც არ ვიყენებდით ამ იარაღს და რაში გვჭირდებოდა?“⁴⁰ ამ დევნისა და შევიწროების შემდეგ წყაროებში იმდენად ხშირად აღარ გვხვდება მუხანასები მედინასა და მექაში. სავარაუდოდ, ისინი ამ ტერიტორიებიდან გააძევეს, რის შემდეგაც მუხანასები ბაღდადში გამოჩნდნენ, როდესაც ქალაქი აბასიანთა იმპერიის აყვავებული დედაქალაქი იყო. იმ დროისთვის ისლამური დისკურსი გენდერისა და სექსუალობის შესახებ უკვე მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი, კაცის ჰომოსექსუალობას უფრო დიდი ყურადღება ეთმობოდა, ვიდრე ტრანსგენდერულ ქცევას. სწორედ ამ სრულიად შეცვლილ გარემოში იღებდნენ სუნიტური სამართლებრივი სკოლის წარმომადგენლები ფიკჰის გადაწყვეტილებებს, რომლებზეც შარიათია დაფუძნებული.

სამართალმცოდნეები და მათი ფიკჰი⁴¹

ომიანთა პერიოდიდან მოყოლებული და აბასიანთა პერიოდის განმავლობაშიც, მუხანასების შესახებ მუსლიმების წარმოდგენები ძირეულად შეიცვალა. სამართალმცოდნეებმა მუშაობა დაიწყეს ლეგალური გადაწყვეტილებების შეგროვებასა და სოციალური ნორმების დაწესებაზე. ამ პროცესში, ისინი ერთად განიხილავდნენ გენდერული იდენტობის საკითხებსა და სექსუალურ ორიენტაციას, რის გამოც, ამ ორ ფენომენს შორის განსხვავება თითქმის შეუმჩნეველი გახდა. შუასაუკუნეების პერიოდის განმარტებების ავტორები ცხადყოფენ, რომ თანდათან, ფემინური კაცი გაიგივდა ორ კაცს შორის ანალურ სექსუალურ აქტში პასიური როლის მქონესთანაც, ის აღარ აღნიშნავდა მხოლოდ გენდერულ იდენტობას. ჰადისების ამ განმარტებების მიმოხილვაში როუსონი ასკვნის, რომ ეს ცვლილება მოხდა მეცხრე საუკუნეში, მოციქულის გარდაცვალებიდან საუკუნენახევრის შემდეგ.⁴² ის ამბობს, რომ “ჰომოსექსუალობისადმი გაზრდილმა საჯარო ყურადღებამ ამ პერიოდში [აბასიანთა მმართველობის დროს, 750-950წწ.], რომელიც მომდევნო საუკუნეების განმავლობაშიც შენარჩუნდა, შეცვალა გენდერის აღქმა. „ფემინურობა“, მიუხედავად იმისა, რომ გამიჯნული იყო (პასიური) ჰომოსექსუალობისაგან ან ლტოლვისაგან, მისგან დამოუკიდებლად აღარ მიიჩნეოდა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებული სტიგმა კი გენდერულ იდენტობასაც მიეწერა.”⁴³ ეს იმას ნიშნავს, რომ ფიკჰის გადაწყვეტილებები იმ კლასიკურ პერიოდში იქნა

⁴⁰ იქვ. გვ. 83-85

⁴¹ ისლამური სამართალი

⁴² იქვ. გვ. 66

⁴³ იქვე, გვ. 87-88

მიღებული, როდესაც ტრანსგენდერული ქცევა ერთნაირსქესიანთა ლტოლვის გვერდით მოვლენად აღიქმებოდა.

სამართალმცოდნეებისათვის დაუშვებელი იყო „ნამდვილ კაცს“ სექსუალური ლტოლვა გასჩენოდა სხვა, სრულად მასკულინური კაცისადმი. აქედან გამომდინარე, ისინი ასკვნიდნენ, რომ მსგავს ურთიერთობაში, ერთ-ერთი პარტნიორი ქალის როლს ითავსებდა. ან ერთი პარტნიორი იყო კაცი-მაგრამ-მაინც-ბოლომდე-კაცი-არა (ბიჭი ან ახალგაზრდა), ან იყო კაცი-მაგრამ-ქალის-ქცევით (კაცი, რომლის პენეტრაციაც ხდებოდა სექსუალური ურთიერთობისას). ტრანსგენდერული ქცევა დამოუკიდებელ ფენომენად არ იყო დანახული. უფრო მეტიც, სამართალმცოდნეები ამას აღიქვამდნენ, როგორც ჰომოსექსუალ მამაკაცთა წყვილებში „პასიური როლის“ ნიშანს. ასევე, სამართალმცოდნეების აზრით, ტრანსგენდერული ქცევა, როცა ქალი იღებდა მამაკაცის ქცევას (საუბარი, მანერები, სიარული, ჩაცმულობა), იყო „აქტიური როლის“ ნიშანი, ჰომოსექსუალ ქალ წყვილში ამ როლს ის ირგებდა, ვინც სექსუალური ურთიერთობისას პენეტრაციას ახდენდა. გარდა საჭურისებისა, რომლებიც უსქესო ადამიანებად ითვლებოდნენ, და ინტერსექსი ადამიანებისა, რომელთა გენდერული ინდეტობის განსაზღვრაც შეუძლებელი იყო, ყველა სხვა ვინც გენდერულად განსაზღვრად კატეგორიაში არ ჯდებოდა, ჰომოსექსუალური ქცევის კონტექსტში განიხილებოდა. ტრანსგენდერული ქცევის აკრძალვა განიხილებოდა, როგორც აუცილებელი ზომა ჰომოსექსუალური ქცევის ასაკრძალად, რომლის ნაწილადაც მიიჩნეოდა ის.

შუასაუკუნეების პერიოდის სამართალმცოდნეები მიიჩნევდნენ, რომ გენდერული განუსაზღვრელობა ბუნებრივი, თუმცა იშვიათი, მოვლენა იყო ინტერსექს ადამიანებში. ამ მოსაზრებას ისინი მხოლოდ ანატომიურ მახასიათებლებზე აფუძნებდნენ და ამ საკითხზე მსჯელობის გასაღრმავებლად გენდერული იდენტობის კონცეფცია არ ჩამოყალიბებიათ. პაულა სანდერსმა (*Paula Sanders*), თავის უაღრესად საინტერესო სტატიაში, განიხილა მუსლიმი სამართალმცოდნეების იდეები და გააანალიზა მათი სამართლებრივი მოსაზრებები ბავშვების შესახებ, რომლებსაც გააჩნდათ როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესობრივი ანატომიის ნიშნები. სამართალმცოდნეებმა დაადგინეს, რომ ასეთი ბავშვი ან კაცად უნდა აღზრდილიყო ან ქალად, იმაზე დაყრდნობით, რომ ასეთ შემთხვევაში რომელიმე სქესის სასქესო ორგანოები უფრო უპირატესი იქნებოდა. უპირატესობა განისაზღვრებოდა შარდის გამომყოფ გენიტალიურ სტრუქტურაზე დაკვირდებითა და ამ სტრუქტურის მდედრობითად ან მამრობითად იდენტიფიცირებით. სამართალმცოდნის დადგენილება ბავშვის სქესობრივი ანატომიისა და შესაბამისად, გენდერის შესახებ, შეცვლას არ ექვემდებარებოდა: „თუკი ერთხელ დადგინდება ადამიანის სქესი, ეს დადგენილება შეუქცევადია, მიუხედავად ამ დადგენილების წინააღმდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა.“⁴⁴ მსგავსი მტკიცებულებები, შესაძლოა, ყოფილიყო გარდატეხის ასაკში ჰორმონებით გამოწვეული ცვლილებები, როგორც „მეორადი სასქესო მახასიათებლები“, მაგალითად, გენიტალიების ჩამოყალიბება, ხმის შეცვლა, სახესა და სხეულზე თმის ამოსვლა, მკერდის გაზრდა. ასეთი ცვლილებები არ განიხილებოდა ახალგაზრდისთვის დადგენილი გენდერის შესაცვლელად

⁴⁴ Sanders, “Gendering the Ungendered Body,” გვ. 79

საკმარის მიზეზად. თუმცა, სხეულში მიმდინარე მსგავსი ცვლილებები შესაძლოა მაინც განეხილათ, თუკი საშარდე გზების განსაზღვრა შეუძლებელი რჩებოდა - „თუკი ბავშვის სქესის განსაზღვრა შეუძლებელია ამ მიღებული მეთოდებით, სქესი ბუნდოვანების [ishtiba] ან განუსაზღვრელობის [ishka] მდგომარეობაში რჩება, გარდატეხის ასაკის დაწყებამდე.“⁴⁵ ასე რომ, მუსლიმი სამართალმცოდნეები თავისდაუნებურად აღიარებდნენ, რომ ადამიანის გენდერული იდენტობა შესაძლოა მის ანატომიურ სქესთან წინააღმდეგობაში მოსულიყო. თუმცა, ამას სამართალმცოდნეები ყოველთვის აღიქვამდნენ პრობლემად, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა გადაჭრილიყო ანატომიაზე დაკვირვებით და არა ადამიანის მიერ საკუთარი გენდერული იდენტობის განსაზღვრით. ისლამური კანონი ნებას რთავდა ბავშვებს გენდერულად განუსაზღვრელ მდგომარეობაში ეცხოვრათ, თუმცა მომწიფების დაწყებისთანავე (როდესაც ადამიანი სქესობრივად და ლეგალურად ზრდასრული ხდებოდა) მათი გენდერი მათ სხეულზე დაკვირვებით უნდა განსაზღვრულიყო.

ამ ლეგალური გადაწყვეტილებებით სამართალმცოდნეები არ აპირებდნენ დაეცვათ გენდერული განუსაზღვრელობა, როგორც ადამიანის არსებობის მრავალფეროვნების ელემენტი ან ღმერთის შემოქმედებითი ნების გამოვლინება. უფრო ზუსტად, ისინი უშვებდნენ გენდერულ განუსაზღვრელობას მხოლოდ იმისთვის, რომ შეენარჩუნებინათ შუასაუკუნეების ისლამური საზოგადოების პატრიარქალური წყობა. დაზუსტებული იყო, რომ ინტერსექს და გენდერულად-განუსაზღვრელ ადამიანებს შეეძლოთ ლოცვისას ქალებსა და კაცებს შორის მდგარიყვნენ, რომ „კაცის უპირატესი სტატუსი არ შეებღალათ და არც თავად აღმოჩენილიყვნენ უფრო დაბალ პოზიციაზე, ვიდრე შეესაბამებოდათ. თუკი ასეთი ადამიანი კაცი აღმოჩნდებოდა, უბრალოდ, კაცებს შორის ბოლო რიგს დაიკავებდა, ხოლო თუკი ქალი აღმოჩნდებოდა, ქალების წინა რიგში იდგებოდა.“⁴⁶ თუმცა, როდესაც საქმე მემკვიდრეობას შეეხებოდა, თუკი ასეთი ადამიანები საფრთხეს უქმნიდნენ მამაკაცის სტატუსს, რომელიც გენდერულად განსაზღვრული იყო, მაშინ ისინი მღედრობითი სქესის ადამიანებად მიიჩნეოდნენ. „უმნიშვნელოვანესი იყო, რომ უფრო მაღალი სტატუსის კაცების წვდომა მემკვიდრეობაზე დაცული ყოფილიყო. წესები უზრუნველყოფდა, რომ ინტერსექსი ვერ ისარგებლებდა კაცისთვის მინიჭებული სტატუსით, სანამ არ დამტკიცდებოდა, რომ ის მართლაც კაცი იყო.“⁴⁷ სწორედ ეს მიდგომა მიიღეს მემკვიდრეობად თანამედროვე მუსლიმებმა კლასიკური შარიათიდან. გვამლევს თუ არა ეს საკმარის რესურსებს, რომ თანამედროვე პერიოდში არსებულ ახალ ეთიკურ გამოწვევებს გავუმკლავდეთ?

შარიათი და სქესის შეცვლის ოპერაციების ეთიკა

ცხადია, რომ თავად მოციქული მუჰამადიც განარჩევდა სხვადასხვა კატეგორიებს გენდერული იდენტობისა და გარეგნული გამოხატულების მიხედვით. ის განასხვავებდა ტრანსგენდერ ქალს (რომელიც ქალად მიიჩნეოდა თავს და იქცეოდა, როგორც ქალი) და

⁴⁵ იქვე, გვ. 78

⁴⁶ იქვე, გვ. 81

⁴⁷ იქვე

საჭურისს (დასაჭურისებულ კაცს). ის ასევე ხედავდა განსხვავებას მათ შორის, ვინც ტრანსგენდერი საკუთარი წრფელი შინაგანი მდგომარეობის გამო იყო (შესაბამისად, მას არ იზიდავდა ქალები სექსუალურად და არც არასდროს ჰყავდა ქალი ხორციელად შეცნობილი) და მათ შორის, ვინც ასე მხოლოდ გარკვეული მიზნების მისაღწევად იქცეოდა. თუმცა, იმ დროისთვის, როდესაც მოციქულის გადმოცემების სწავლულები სიტყვიერ ცნობებს ინახავდნენ და მუსლიმი სამართალმცოდნეები გადაწყვეტილებებს ლეგალურ მსჯელობაზე დაყრდნობით იღებდნენ, ამ განსხვავებას უკვე აღარავინ აქცევდა ყურადღებას. კლასიკური პერიოდის ბოლოს, შარიათი, რომელიც ამ სწავლულების მიერ იყო შედგენილი, გენდერულ განუსაზღვრელობას მხოლოდ მამაკაცის პატრიარქალური პრივილეგიების დაცვის კუთხიდან ხედავდა და გენდერულ იდენტობას სექსუალურ ორიენტაციის კონტექსტში განიხილავდა. ეს თავი თანამედროვე მუსლიმებს მოუწოდებს, რომ აღადგინონ თავად მოციქულის მიერ გენდერული იდენტობის სიღრმისეული გაგება და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ შუასაუკუნეებში ჩამოყალიბებული შარიათი.

თანამედროვეობაში ორი გარემოება მოუწოდებს მუსლიმებს კლასიკური შარიათის მემკვიდრეობის გადაზრებისაკენ. პირველი - ეს არის სულ უფრო მზარდი სოციოლოგიური მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ გენდერული იდენტობა ფსიქოლოგიური რეალობაა, რომელიც ყოველთვის ანატომიით არ არის განპირობებული. მეორე - სწრაფად განვითარებადი სამედიცინო ტექნოლოგიების არსებობა, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს საკუთარი სხეული საკუთარი გენდერული იდენტობის შესაბამისად შეცვალონ. არც ეს ფსიქოლოგია და ტექნოლოგია არ იყო ხელმისაწვდომი სამართალმცოდნეებისათვის შუა საუკუნეებში. ამისდა მიუხედავად, ზოგიერთი მუსლიმი სამართალმცოდნე ითვალისწინებს ახალ სინამდვილეს და გამოხატავს მზადყოფნას, რომ ამ საკითხს იჯთიჰადის⁴⁸ თვალთახედვით შეხედოს.

ეგვიპტეში, საუდის არაბეთსა და ირანში ისლამის ავტორიტეტების ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები ნათელს ხდის, რომ მუსლიმ სამართალმცოდნეებს შეუძლიათ დაუშვან სქესის შეცვლის ოპერაცია ადამიანების „გამოსასწორებლად“, შეუძლიათ ამ მიდგომას მხარი დაუჭირონ ისლამური სწავლებებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევებმა დასავლეთში მიიქცია ისეთი პროგრესული მუსლიმების ყურადღება, როგორებიც არიან, მაგალითად რუსმირ მუსიცი (Rusmir Musić) და კეცია ალი (Kecia Ali).⁴⁹ შეიძლება ამ შემთხვევებმა ძალა მისცეს ტრანსგენდერ ადამიანებს, რომ ჰორმონალური თერაპია გააგრძელონ და ოპერაციაც ჩაიტარონ, მუსლიმი ნათესავების წინააღმდეგობის მიუხედავად. თუმცა, ჩვენ უნდა დავსვათ შეკითხვა: რამდენად პროგრესულია თანამედროვე ისლამური საზოგადოებების ღიაობა სქესის შეცვლის

⁴⁸ اجتهاد /iğtihād/ – იჯთიჰადი - იურიდიული ტერმინი, რაც გულისხმობს დამოუკიდებელ არგუმენტაციას ან იურისტის განსაკუთრებულ ძალისხმევას სამართლებრივი გადაწყვეტის მიღებაში. ასევე შეიძლება განისაზღვროს, როგორც იურიდიული დასაბუთება და ჰერმენევტიკის პროცესი ყურანისა და სუნას საფუძველზე.

⁴⁹ Musić, “Queer Visions of Islam,” and Ali, *Sexual Ethics in Islam*, chapter 5. რუსმირ მუსიცი მადლობა მისი სმაგისტრო კვლევის გაზიარებისათვის, რომელზეც დაფუძნებულია ეს მსჯელობა ეგვიპტური და საუდის არაბეთის შემთხვევების შესახებ.

ოპერაციებისადმი? ასეთი გადაწყვეტილებები, შესაძლოა, არ იყოს პროგრესული, თუკი ისინი გენდერულ აპარტიდს ამყარებენ და სადამსჯელო მიდგომას ნიღბავენ ან ტრანსგენდერი (როცა ისინი არ იტარებენ ოპერაციას საკუთარი ანატომიის შესაცვლელად), ან გენდერულად განუსაზღვრელი ადამიანებისადმი (რომლებიც, შესაძლოა, ფემინური კაცებივით ან მასკულინური ქალებივით გამოიყურებოდნენ და მათი ქცევა ადგილობრივი საზოგადოებების ნორმებში არ ჯდება).⁵⁰

საუდის არაბეთში, დღესდღეობით, გენდერულ განუსაზღვრელობასთან დაკავშირებული სამედიცინო პრაქტიკის ცნობები იმ შემთხვევის მაგალითია, როდესაც მუსლიმი ექიმები ამ საკითხს კი არ უპირისპირდებიან, არამედ კლასიკული შარიათის მიდგომას ეყრდნობიან: ეყრდნობიან პატრიარქალურ მტკიცებას იმის შესახებ, რომ გენდერის განსაზღვრება კაცის სექსუალური ანატომიიდან, განსაკუთრებით კი პენისიდან გამომდინარეობს. ორმა სამედიცინო მკვლევარმა საუდის არაბეთიდან, ტაჰამ და მაგბულმა (*Taha and Magbool*) გამოიკვლიეს გენდერული განუსაზღვრელობის მახასიათებლები და მედიცინის მიდგომები იმის გამოსასწორებლად, რასაც ინტერსექსურ „შლილობას“ უწოდებენ. ისინი ასკვნიან, რომ თანამედროვე საუდის არაბეთში „უმთავრესი ფაქტორი მდედრობითი გენდერის განსაზღვრისას არის ფალოსის შეუსაბამობა (*phallic inadequacy*).“⁵¹ თუკი ექიმი ახალშობილის შემოწმებისას, ზედაპირული დაკვირვებისა და ნორმალურობის სტერეოტიპულ წარმოდგენაზე დაყრდნობით, დაადგენს, რომ ბავშვს არ აქვს „შესაფერისი ფალოსი“, მაშინ, როგორც წესი, ბავშვს მამრობითი სქესისად არ მიიჩნევენ და მას მდედრობით სქესს მიაწერენ. მდედრობითი სქესის გენდერული კატეგორია ავტომატურად იგულისმება, თუკი პენისის შესაბამისობა ან არ არსებობს, ან ეჭვქვეშ დგას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ბავშვი შინაგანად კაცად გაიზარდოს, ჰქონდეს სათესლე ჯირკვლების ნაშთები, მომწიფების ასაკში ის მეორადი სასქესო ნიშნები განუვითარდეს, რომელიც მამრობით სქესს ახასიათებს. ექიმები აღნიშნავენ, რომ პაციენტების უმრავლესობა, რომელიც „მდედრობითი სქესის მქონედ“ გამოაცხადეს პენისის არსებობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების გამო, მოგვიანებით შინაგან კონფლიქტს განიცდიდა მიწერილ გენდერთან დაკავშირებით და ცხოვრების შემდგომ ეტაპზე მოითხოვდა სქესის შეცვლის ოპერაციას, შინაგანი გრძნობიდან გამომდინარე (რომელიც შესაძლოა მომწიფების ასაკში სხეულის ცვლილებას ან მხოლოდ ფსიქოლოგიურ იდენტობას უკავშირდებოდეს). ამ განსხვავების არსებობის აღიარებით საუდის არაბეთში ექიმები ცდილობდნენ აღმოეფხვრათ მოგვიანებით სქესის შეცვლის პროცედურა (მიუხედავად ამ მდგომარეობის დამანგრეველი შედეგებისა პაციენტისათვის და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად სამედიცინო პროცედურის ხელმისაწვდომობისა). ექიმებს

⁵⁰ ასფანე ნაჯმაბადი (Afsaneh Najmabadi ავტორი წიგნისა *Women with Mustaches and Men without Beards: Gender and Sexual Anxiety of Iranian Modernity*) ამბობს, ირანის ხელისუფლების მხრიდან სქესის შეცვლის ოპერაციების მიმდებლობა თავისუფლებას ანიჭებს ტრანსგენდერ ადამიანებს, მაგრამ სახიფათოა ჰომოსექსუალი კაცებისა და ქალებისათვის, რადგან ხშირად ეს ოპერაცია ან წახალისებულია, ან იძულებით ტარდება, როგორც ჰომოსექსუალების „სამკურნალო“ პროცედურა. იხ. Najmabadi, “Transing and Transpassing across Sex–Gender Walls in Iran

⁵¹ Taha and Magbool, “The Pattern of Intersex Disorders and Gender Assignment in the Eastern Province of Saudi Arabia,” გვ. 18.

საუღის არაბეთში სქესის შეცვლის ოპერაციების წინააღმდეგ არსებული პოლიტიკის გასამართლებელ მიზეზად მოჰყავთ „საჭირო ქირურგიული პროცედურების სირთულე, სქესის შეცვლის გვიანდელ პროცედურასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემები პაციენტებსა და მშობლებში, ასევე, პროცედურის შედეგად მიღებული პატარა ზომის პენისის კოსმეტიკური და ფუნქციური პრობლემები“.⁵² მათი თვალსაზრისით, საზოგადოების აზრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – თავად პაციენტისა: ცვლილება ოჯახისა და საზოგადოებისათვის შესაძლოა ტრავმული იყოს, ოპერაციის შედეგად მხოლოდ ისეთი პენისი შეიძლება შეიქმნას, რომელსაც საზოგადოება პატარად, შეუსაბამოდ და ხელოვნურად ჩათვლის. ისინი არაფრად აგდებენ პაციენტის გრძნობებს, როდესაც ზეწოლის ქვეშ და ოჯახისა და საზოგადოების მიერ დადგენილი გენდერთი უწევთ ცხოვრება, ასევე არ აფასებენ თავისუფლების განცდასა და სიმშვიდეს, რომელსაც პაციენტები გრძნობენ, როდესაც ისინი იღებენ სხეულს, რომელიც მათ შინაგან გენდერულ იდენტობას შეესაბამება, თუნდაც შედეგად მიღებული გენიტალური სტრუქტურები არ იყოს პატრიარქალური სტანდარტებით დიდი ან ფუნქციური. ეს ცნობები ცხადყოფს, რომ საუღის არაბეთის სამედიცინო პოლიტიკა კვლავ პატრიარქალურ მიდგომებს უჭერს მხარს, რომელიც კლასიკურ შარიათშია ჩადებული; რომელშიც სამართალმცოდნეების მიერ გენიტალიებზე დაკვირვება გადაწონიდა ადამიანის შინაგან გენდერულ ინდენტობას და რომელშიც მდებარეობითი სქესის მიწერა ადამიანისთვის ავტომატური გადაწყვეტილება იყო, რომ მამრობითი სქესის სოციალურ პრივილეგიას საფრთხე არ შექმნოდა.

საუღის არაბეთი განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან ის ერთი-ერთი იმ იშვიათ ქვეყანათაგანია, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია და სადაც კლასიკური შარიათი მთავრობის მიერ ეროვნულ კანონმდებლობადაა მიღებული. აქედან გამომდინარე, შარიათში ჩაქსოვილ პატრიარქალურ ცნებებს ამ ქვეყანაში განსაკუთრებული ძალა აქვთ, უგულებელყოფილია სხვა განვითარებები სამედიცინო პრაქტიკაში, კლინიკურ ფსიქოლოგიასა თუ ადამიანის უფლებების პოლიტიკაში. ეგვიპტის მაგალითი უფრო ტიპურია - ქვეყანა, სადაც მოდერნიზაციისადმი სწრაფვა და ისლამისადმი ერთგულება მუდამ დაძაბულ მოცემულობაში ინარჩუნებს წონასწორობას. ეგვიპტეში ხელისუფლება შარიათს არ აღიარებს ეროვნულ კანონმდებლობად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში მუსლიმების უმრავლესობა ხშირად სწორედ შარიათს (ან უფრო ფართოდ გაგებულ ისლამურ ნორმებს) მიმართავს ეთიკასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად. შესაბამისად, ალ-აზჰარის აკადემია (*al-Azhar Academy*) - ისლამური სწავლებისა და განკარგულების ყველაზე პრესტიჟული სუნიტური ინსტიტუცია - გადაწყვეტილებებს ისლამის შესახებ ხელისუფლების ოფიციალური სტრუქტურების მიღმა იღებს (თუმცა, სიფრთხილით, რომ სეკულარულ ავტორიტარულ რეჟიმს არ შეეწინააღმდეგოს). ალ-აზჰარმა ბოლო პერიოდში განიხილა ტრანსგენდერი სტუდენტის გახმაურებული საქმე და ოფიციალური გადაწყვეტილება მიიღო სქესის შეცვლის ოპერაციებისა და ტრანსსექსუალი მუსლიმების სტატუსის შესახებ. სუნიტების უმრავლესობა მთელ მსოფლიოში

⁵² იქვე, გვ. 21

(განსაკუთრებით, მუსლიმი უმცირესობები დასავლეთში) უფრო ალ-აზჰარის გადაწყვეტილებებს უყურებენ, როგორც ისლამისა და მოდერნულობის შერიგებას, ვიდრე საუდის არაბეთისას.

1980-იან წლებში, სტუდენტი, სახელად საიიდი ალ-აზჰარში სასწავლად დარეგისტრირდა, როგორც კაცი. სწავლის განმავლობაში, საიიდმა გააცნობიერა გენდერული განუსაზღვრელობის განცდა და უფრო ქალად იდენტიფიცირდებოდა, რომელიც კაცის სხეულში იყო გამომწვევადეული. საიიდმა სახელი შეიცვალა, სალი დაირქვა და სქესის შეცვლის ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა. 1988 წელს, ამ ოპერაციის შემდეგ, სალიმ - რომელსაც ახლა მდედრობითი სქესის გენიტალიები ჰქონდა - ალ-აზჰარს მიმართა, რომ სწავლა დაესრულებინა, როგორც ქალს. აკადემიამ თავიდან ჩარიცხვაზე უარი უთხრა და ამტკიცებდა, რომ სალის გენდერული განუსაზღვრელობა შარიათში დადგენილი გენდერული განსხვავების კონცეფციაზე დაფუძნებულ კაცისა და ქალის გამიჯვნის მკაცრ რეგულაციებს არღვევდა. მკვლევარი, რომელიც ამ შემთხვევას სიღრმისეულად სწავლობდა, იაკობ სკოვგაარდ-პეტერსონი (*Jakob Skovgaard-Petersen*) ამბობს, რომ ალ-აზჰარის ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ „ღმერთმა ადამიანების მოდგმა წყვილებად შექმნა და ღმერთის (*sic*) გამოცხადება ცხადყოფს, რომ სქესთა შორის განსხვავება (ისევე, როგორც მორწმუნესა და ურწმუნოს შორის განსხვავება) ის ფუნდამენტური განსხვავებაა, რომელზეც საზოგადოებაა დაფუძნებული. ამ ორ სქესს შორის ურთიერთმოქმედებამ, შესაძლოა, საზოგადოებრივ წყობას შეუქმნას საფრთხე (რომელიც ხშირად ქალებისგან მომდინარეობს), ამიტომ ამ ურთიერთობების კონტროლი აუცილებელია.“⁵³ ალ-აზჰარმა ხაზი გაუსვა, რომ ქალობა და კაცობა მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და ისინი ერთმანეთში არ უნდა ირეოდნენ; ინსტიტუტმა ასევე უგულებელყო სალის გენდერული იდენტობა და დაადგინა, რომ კაცის ეს განცხადება, რომ ის სინამდვილეში ქალი იყო, სხვა კაცებთან სქესობრივი კავშირის ლეგიტიმაციის ფარული გზა იყო. ალ-აზჰარის გადაწყვეტილება შეესაბამებოდა შუასაუკუნეების დროინდელი სამართალმცოდნეების მიდგომებს, რომლებმაც შარიათი ჩამოაყალიბეს და გენდერული იდენტობის საკითხს უპირატესად ჰომოსექსუალური სქესობრივი კავშირის აკრძალვის პრიზმიდან განიხილავდნენ. ალ-აზჰარის რეაქციამ უარყო, რომ საიიდისნაირი კაცი, შესაძლოა, ქალი - სალი - გამხდარიყო მხოლოდ შინაგანი გენდერული განცდიდან გამომდინარე, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს აშლილობა სინამდვილეში ტრანსგენდერული ქცევით დაფარული ჰომოსექსუალური მიზიდულობა იყო, ფენომენი, რომელიც მათ ინსტიტუციას *ფიტნათი* ან სოციალური არეულობით ემუქრებოდა. მათ განსაჯეს, რომ ოპერაციის შემდეგ ეს სტუდენტი არც სრულად კაცი იყო და არც ნამდვილი ქალი, არამედ მან სხეული იმისთვის დაისახიჩრა, რომ ჰომოსექსუალური ურთიერთობა გაემართლებინა.

სალის შემთხვევა ფართოდ გახმაურდა ეგვიპტეში. საბოლოოდ, შეიხი ალ-ტანტავი (*Shaykh al-Tantawi*), ეგვიპტის მთავარი მუფთი და ალ-აზჰარის უმთავრესი იურიდიული

⁵³ Skovgaard-Petersen, *Defining Islam for the Egyptian State*, გვ. 325; იხ. ასევე, Ali, *Sexual Ethics and Islam*, გვ. 93–94

ავტორიტეტი იძულებული გახდა უფრო სიღრმისეული გამოძიება ეწარმოებინა. მან გამოსცა ფათვა (*fatwa*), ლეგალური მოსაზრება, რომელიც სალის უფლებას აძლევდა აკადემიაში ქალად ჩარიცხულიყო. ფათვაში ასევე ისლამური პოზიციიდან იყო განიხილული არა მხოლოდ ეს კონკრეტული შემთხვევა, არამედ ეს საკითხი მთელი თავისი კომპლექსურობით. სკოვგაარდ-პეტერსონმა თარგმნა ეს ფათვა, რომელშიც შეიხი ალ-ტანტავი აცხადებს, რომ „დაშვებულია ოპერაციის ჩატარება (გენიტალიების შეცვლის) იმისათვის, რომ გამოჩნდეს მდებარეობითი თუ მამრობითი სასქესო ორგანოების დაფარული ნაწილი. მართლაც, სავალდებულოა ამის გაკეთება მაშინ, როდესაც ოპერაცია მკურნალობად მიიჩნევა, სანდო ექიმის რჩევის მიხედვით. თუმცა, ეს პროცედურა დაუშვებელია, თუკი ამას საფუძვლად მხოლოდ სურვილი უდევს, რომ ქალი გახდეს კაცი, ან პირიქით.“⁵⁴ შეიხი ალ-ტანტავი აკანონებს სქესის შეცვლის ოპერაციას გარკვეული პირობებით, სუბიექტის მოტივაციის საფუძველზე. ოპერაცია სავალდებულოა, როდესაც გენიტალიური სტრუქტურა ბუნდოვანია; ამ შემთხვევაში სამედიცინო მკურნალობა „დამალულის გამოსაჩენად“ ტარდება, რაც იმის აღიარებაა, რომ ადამიანის სხეულის ორგანოები ყოველთვის განსაზღვრებადი არ არის ისე, რომ ღმერთის ნებას შეესაბამებოდეს, რომლის მიხედვითაც, თითოეულ ინდივიდს გენიტალიებით გამოხატული განსაზღვრული სქესი უნდა ჰქონდეს.

შეიხი ალ-ტანტავის აზრით, თუკი ბუნების ქმნილება არ არის ბოლომდე ნათელი, ადამიანს უფლება აქვს ჩაერიოს და სამედიცინო გზით შეცვალოს სხეული იმ შინაგანი სტრუქტურების გამოსააშკარავებლად, რომლებიც ლატენტურ ფორმაში არსებობდა, თუმცა სხეულის ზრდის პროცესში შეუმჩნეველი იყო. თანამედროვე სამედიცინო თერაპია ღმერთის ნებას არასოდეს უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ეს ფათვა უკრძალავს ინდივიდს სქესის შეცვლის ოპერაცია ჩაიტაროს „მხოლოდ სქესის შეცვლის სურვილის გამო“. შეიხი ახირობას (არაბულად *وَهْم* / *wahm*, ტერმინი, რომელიც ეგოისტურ სურვილსა და აკვიატებას აღნიშნავს) უწოდებს არასწორ სხეულში გამომწყვდეულობის შეგრძნებას, თუკი ანატომიურად ყველაფერი ნათელია და ასეთი გრძნობის მიზეზი ანატომიაში არ მოიძებნება. შეიხი მხოლოდ ანატომიაში ხედავს ღვთის ნების გამოვლინებას, ყველა სხვა შემთხვევას კი ადამიანის ახირობას უწოდებს, რომელიც თანამედროვე მედიცინამ არ უნდა წაახალისოს.

ამ ფათვას ანალიზში, სკოვგაარდ-პეტერსონი გონივრულად აღწერს ამ გადაწყვეტილების ლოგიკას. „შეიძლება ითქვას, რომ სქესის შეცვლის ოპერაციის ლეგალიზების მაგივრად, ამ ფათვამ საერთოდ მოსპო ამ ოპერაციის შესაძლებლობა“.⁵⁵ ადამიანს არ შეუძლია უფლის მიერ ბოძებული სქესის შეცვლა, მაგრამ მან გამოცდილებით შეიძლება აღმოაჩინოს, რომ სხეულის ორგანოები აშკარად ვერ განისაზღვრება და სამედიცინო ჩარევით, შესაძლოა, აღმოაჩინოს უფრო მკაფიო გენდერული ანატომია, რათა ღვთის ნების შესაბამისად იცხოვროს. ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს შეიხი ალ-ტანტავის დადგენილება ჰარმონიაშია იმ თანამედროვე ტრანსგენდერ ადამიანებთან, რომლებიც „სქესს იცვლიან“ არა ახირობის, პირადი არჩევანის ან სხვა მიზეზების გამო, არამედ რომლებიც ამ პროცედურას ხედავენ,

⁵⁴ Skovgaard-Petersen, *Defining Islam for the Egyptian State*, გვ. 331.

⁵⁵ იქვე. გვ. 334

როგორც „გენიტალიების შეცვლას“, რადგანაც ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ისინი არასწორ სხეულში დაიბადნენ და არასწორი სქესის მიხედვით გაიზარდნენ; მათი სწრაფვა, რომ სხეულები საკუთარ შინაგან გენდერულ იდენტობას შეუსაბამონ, ნიშნავს რომ უფრო ღირსეულად და ჰარმონიულად იცხოვრონ იმასთან, რასაც გრძობენ, რომ ღმერთის მიერ ბოძებული დანიშნულებათა და მათი რელიგიის ფორმალურ მოთხოვნებთან თანხმობაში ყოფნის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

თუმცადა, თუკი შეიხი ალ-ტანტავის ფათვას უფრო სიღრმისეულად შევხედვით, აღმოვაჩენთ აქ დამალულ უფრო ღრმა პრობლემებს. ბევრი ტრანსგენდერი მუსლიმი ამ მიდგომას ეთანხმება და მას ლეგალურ პრეცედენტად მიიჩნევს, რისი საშუალებითაც უფლება ექნებათ სქესის შეცვლისთვის საჭირო თერაპია გაიარონ. თუმცა, ფათვა ცხადად არ აღიარებს ტრანსგენდერი ადამიანების უმრავლესობის გამოცდილებას, რადგან ის გენდერულ განუსაზღვრელობას მხოლოდ ინტერსექსობის მაგალითზე განიხილავს. შეიხი ალ-ტანტავი დადებითად აფასებს მხოლოდ იმ ტრანსგენდერ ადამიანებს, რომლებიც „სხეულებრივი ავადმყოფობით იტანჯებიან, რომელიც მოშორებაც ოპერაციის გარეშე შეუძლებელია“, აქედან გამომდინარე, სამედიცინო თერაპიას განიხილავს ადამიანის ნამდვილი სასქესო ორგანოების გამოვლენის საშუალებად, ორგანოებისა, რომლებიც სხეულში უცნაურ ამოცანად იყო დამალული უფლის ნების მიხედვით.⁵⁶

მაგრამ რამდენად შეიძლება ადამიანს ჰქონდეს სასქესო ორგანოს ანატომია, რომელიც დამალულია ან სხეულითაა დაფარული? ამ კვლევისთვის გამოკითხულმა ერთ-ერთმა მუსლიმმა აქტივისტმა გამოთქვა აზრი, რომ ის ტრანსგენდერია არა იმიტომ, რომ ის ანატომიურად არაა განსაზღვრადი, არამედ იმიტომ, რომ ეს მისი ფსიქოლოგიური რეალობაა, თავს გრძნობდეს კაცად, რომელიც ქალის სხეულშია გამომწყვდელი. ეს მაგალითი აღწერს ტრანსგენდერი ადამიანების უმრავლესობას, რომლებსაც სამედიცინო მკურნალობა უნდათ იმისთვის, რომ სხეულები საკუთარ გონებასთან და/ან სულთან ჰარმონიაში მოიყვანონ. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც შეიხი ალ-ტანტავი დაჟინებით უსვამს ხაზს ანატომიურ ბუნდოვანებას იმისათვის, რომ გენდერული განუსაზღვრელობა აღიაროს, მისი მსჯელობა ფათვას სხვა ნაწილში ნაკლებად კონკრეტულია. ის ისლამურ თეოლოგიურ ცნებებს ეყრდნობა გარეგნული გამოხატულებისა (*zahir*) და შინაგანი არსის (*batin*) ერთმანეთისგან გასარჩევად.⁵⁷ ადამიანის გარეგანი გამოხატულება შეიძლება გვატყუებდეს, მაგრამ შინაგანი არსი ყოველთვის ჭეშმარიტია. ეს არსი, შესაძლებელია, ტანისამოსითა და გამოხატული გენიტალიებით შეინიღბოს, მაგრამ, თუკი ადამიანის პირადი არსი გამოცდილების გზით გამოვლინდება, ადამიანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს შინაგანი არსი სოციალურად გამოავლინოს და რელიგიური და მორალური მოლოდინების შესაბამისად იცხოვროს. თუკი ადამიანს სჭირდება, რომ შეიცვალოს სახელი, ჩაცმულობა და გენიტალიები იმისათვის, რათა გულწრფელად იცხოვროს ღმერთის მიერ სამშვინველის (*ინგ. soul*) სახით მოცემული არსით, მაშინ დასაშვებია ადამიანის არსის მიხედვით ამ გარეგანი მარკერების შეცვლა. ამ ცნებების

⁵⁶ იქვე, გვ. 330

⁵⁷ იქვე, გვ. 332

გამოყენება - გარეგანი გამოხატულება და არსი - რომლებიც ისლამური თეოლოგიიდანაა აღებული და სუფიზმში კიდევ უფრო გაღრმავებული - შეიხი ალ-ტანტავი ფათვას უტოვებს ღია პოტენციალს, რაც სცდება მის თავდაპირველ მტკიცებას, რომელიც ანატომიაზე დაფუძნებული მოსაზრებებით შემოიფარგლება. ეს პოტენციალი ტანსგენდერი მუსლიმებისათვის ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

საქმის გრძელვადიანი გარჩევისა და ოპერაციიდან თითქმის ორი წლის შემდეგ, სალის მისცეს სერტიფიკატი, რომელიც მას ქალად აღიარებდა. თუმცა, ამან ბოლომდე მაინც ვერ გადაჭრა ალ-აზჰართან არსებული მისი დავა. აკადემია კვლავ უარს ამბობს სალის სქესის შეცვლის აღიარებაზე ლეგალური ცნობის მიუხედავად; ალ-აზჰარი ამტკიცებს, რომ სალი „იყო კაცი და კვლავ კაცად დარჩა, თუმცა ნაკლებად, რადგან მან დაკარგა კაცის სასქესო ორგანოები და შეიძინა ქალის ხელოვნური (და არასრულყოფილი) სასქესო ორგანოები. ის არ იყო ბოლომდე კაცი, ქალი ნამდვილად არა, და არც ნამდვილი ინტერსექსი“.⁵⁸ ალ-აზჰარი თავისი მსჯელობით ამტკიცებს, რომ სალი უფრო ნებაყოფლობით საჭურისს წარმოადგენს; ინსტიტუცია მის ოპერაციას მხოლოდ კასტრაციად მიიჩნევს. ამ ოპერაციით, სალიმ უარი თქვა სრულად ფუნქციური მამაკაცის პრივილეგიებზე სოციალურ სტატუსზე, მაგრამ შეუძლებელია თავს ნამდვილი ქალი უწოდოს. შეიხი ალ-ტანტავის ფათვას იდეის საწინააღმდეგოდ, ალ-აზჰარი ამტკიცებს, რომ სალის სქესი არ გააჩნია - სალი „ბოლომდე კაცი არაა, ქალი კი ნამდვილად არ არის“. ის ასევე უარს ამბობს, რომ სალი „მესამე სქესად“ აღიაროს (სამხრეთ აზიის ისლამური საზოგადოებების მოდელის მხიედვით, რომლების ჰიჯრებს (*hijras*) აღიარებენ როგორც „არც კაცი, არც ქალი, არამედ რაღაც მათ შორის“) და მას სოციალური სტატუსი და გარკვეული უფლებები მიეცეს.

ეგვიპტეში ალ-აზჰარის უმაღლესი იურიდიული ორგანოს ფათვაც კი არ არის იურიდიულად სავალდებულო მთავრობისთვის ან სხვა ინსტიტუტებისთვის. გარკვეულწილად, ეს განაპირობებს ეგვიპტურ შემთხვევებში მიღებულ სანახევრო ზომებს. შეიხ ალ-ტანტავის ასეთი არაერთმნიშვნელოვანი განცხადება ბევრი ინსტიტუციისთვისა და ოჯახისათვის სრულად მისაღები არ არის, თუმცა მან შეიძლება ძალა მისცეს ინდივიდებს, რომ სამედიცინო მკურნალობას მიმართონ და ზურგი მისცეს პროფესიონალ ექიმებს ასეთი მკურნალობა ჩაატარონ. ამის საპირისპიროდ, ირანის რესპუბლიკამ, როგორც ჩანს, სრულად აღიარა სქესის შეცვლის ოპერაციები, როგორც ისლამური და ამასთან, ირანში შიიტი სამართალმცოდნეების განცხადებებს სამთავრობო მხარდაჭერა აქვთ ეროვნული კანონმდებლობის სახით. ამის მიზეზია ის, რომ 1978 წლის რევოლუციის შემდეგ, კლასიკური შარიათის ზოგიერთი დებულება ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად დადგინდა, პარლამენტთან და ადრინდელ კონსტიტუციასთან დამაბული თანაარსებობის მოცემულობით.

მართალია ეს წიგნი ძირითადად სუნიტურ შემთხვევებსა და სამართლის თეოლოგიას განიხილავს, მაგრამ, ირანთან შედარებამ ბევრი რამ შეიძლება გვასწავლოს. აქ ვერ შევძლებთ ძირეულად წარმოვადგინოთ მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ უდგება შიიტური თეოლოგია და სამართლის სკოლები სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას,

⁵⁸ იქვე, გვ.326

რადგან ეს საკმაოდ მდიდარი და კომპლექსური საკითხია, რომელზეც ცალკე წიგნი უნდა დაიწეროს. აქ საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ შიიტ თემებში ჯაფარიტული საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლები სუნიტური სკოლების პარალელურად და მათი მსგავსი პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ირანში მიღებული ჯაფარიტული საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლები ისეთ ლეგალურ აზროვნებას ავლენენ, როგორც სუნიტებთან შაფიიტური საღვთისმეტყველო-სამართლებრივ სკოლებში გვხვდება. შესაბამისად, შიიტი სწავლულები ირანში ამტკიცებენ, რომ ისლამი ჰომოსექსუალობასა და ტრადიციულად სხვა სქესის ადამიანის ტანისამოსის ტარებას (კროსდრესინგს) კრძალავს, ამიტომ კაცი უნდა კაცივით იცვამდეს და კაცივით ჰქონდეს სექსი, ხოლო ქალი ქალურად უნდა იცვამდეს და ქალივით ჰქონდეს სექსი.⁵⁹

თუმცა, ირანში შიიტი სწავლულები უფრო ღიებია არიან ფილოსოფიური დებატებისთვის (ლოგიკურ მსჯელობაზე დაყრდნობითა და იჯთიჰადისკენ სწრაფვით) - უფრო ღიები, ვიდრე მათი სუნიტი კოლეგები. შიიტურ ირანში, ისლამური კანონის სწავლება არასოდეს ყოფილა დიალექტიკური ლოგიკისა და ფილოსოფიის სწავლებისგან განცალკევებული, ეს დღესაც ასეა. ასევე, შიიტურ თემებში კვლავ გვხვდება მარჯიას ინსტიტუტი, ან ავტორიტეტულად შემოქმედებითი სამართალმცოდნეები, რომლებიც მართალია ბევრნი არ არიან, მაგრამ უფლება აქვთ ახალი ვითარებებიდან გამომდინარე, ინოვაციური სამართლებრივი გადაწყვეტილება მიიღონ (ინსტიტუტი, რომელსაც სუნიტური საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლების უმრავლესობა უარყოფს). ამ ინტელექტუალური კონტექსტის გათვალისწინებით, ზოგიერთი თანამედროვე შიიტი სწავლული ამტკიცებს, რომ არც სექსუალური ორიენტაცია და არც „კროსდრესინგი“ არ შეესაბამება ტრანსგენდერობის საკითხს. მაგალითად, ჰოჯათულისლან კარიმინიამ (*Hojatulislam Kariminia*) სადოქტორო თემა დაწერა სქესის შეცვლის ოპერაციების მნიშვნელობაზე ირანის ისლამური კანონმდებლობისთვის. ის ამბობს, რომ აიათოლა ხომეინი წერდა ისეთ ახალ სამედიცინო გამოწვევებზე, როგორებიცაა ტრანსსექსუალობა: „მჯერა, რომ ის იყო პირველი მუსლიმი მეცნიერი ისლამურ სამყაროში, რომელმაც სქესის შეცვლის საკითხი წამოწია... მინდა ვთქვა, რომ ტრანსსექსუალების უფლება, რომ სქესი შეიცვალოს, ადამიანის უფლებების საკითხია... ვცდილობ ტრანსსექსუალები ადამიანებს გავაცნო ჩემი ნამუშევრების საშუალებით და მოვსპო სტიგმა და შეურაცხყოფა, რომელიც ხშირად ამ ადამიანებს თან სდევთ“.⁶⁰ ეს თეოლოგიური და სამართლებრივი მსჯელობა, მართალია, სწავლულებს შორის, ელიტურ დონეზე მიმდინარეობს, მაგრამ მას მაინც გააჩნია პრაქტიკული შედეგები ფართო საზოგადოებისათვის. ირანის წამყვანი ქირურგი, დოქტორი მირჯალალი რომელიც სქესის შეცვლის მიმართულებით მუშაობს, ამბობს, რომ მან ირანში ბოლო 12 წლის განმავლობაში

⁵⁹ ხომეინის რეჟიმმა შიიტ სამართალმცოდნეს, ჰუსეინ ალი მუნთაზერი ნაჯაფაბადს (*Hussayn Ali Muntazeri Najafabadi*) დაავალა, რომ დაეწერა სტანდარტიზებული ლეგალური ტექსტი ეროვნული კანონმდებლობის იმ ნაწილის ისლამიზაციის გასამართლებლად, რომელიც სექსუალობასა და სქესობრივი აქტის საკითხებს ეხებოდა. არაბულად, *Kitab al-Hudud [The Book of Divine Punishments: On the Subject of Adultery, Sodomy, Tribadism and Collusion]*

⁶⁰ Harrison, "Iran's Sex-Change Operations"

სქესის შეცვლის 320 ოპერაცია ჩაატარა (მაშინ როცა, როგორც ის ამბობს, ევროპაში ქირურგი მხოლოდ 40 ასეთ ოპერაციას ატარებს ათი წლის განმავლობაში).⁶¹ მთავრობის დაქირავებული შიიტი სწავლულები ახლა რეკომენდაციას გასცემენ, რომ გენდერული შფოთის მქონე ადამიანებმა უნდა გაიარონ ჰორმონალური მკურნალობა და ჩაიტარონ ოპერაცია. რიგ შემთხვევებში ამ პროცედურების საფასურს ხელისუფლება ფარავს. ამასთან, ირანული კანონით დაშვებულია, რომ ტრანსსექსუალმა ადამიანმა ახალი დაბადების მოწმობა აიღოს, რომელიც მის ახალ გენდერულ იდენტობის შესახებ ინფორმაციას ატარებს და მიიღოს პასპორტი, რომელშიც მისი ახალი გენდერული კატეგორია აღნიშნული; ბევრ ევროპულ და ამერიკულ ქვეყანაზე ადრე მოხდა ამ სამედიცინო მკურნალობის ასეთი ლეგალური აღიარება. მსგავსი ინოვაციური გადაწყვეტილებები ტრანსსექსუალთა შრომის შედეგია, რომლებიც ცდილობდნენ შიიტი სამართალმცოდნეები დაერწმუნებინათ გენდერული იდენტობის სინამდვილეში. ფერეიდუნ მოლქარა (*Fereydoon Molkara*) 1950 წელს დაიბადა მამაკაცის სასქესო ორგანოებით. ის ბიჭად იზრდებოდა, თუმცა ყოველთვის ქალად გრძნობდა თავს, რომელსაც რომანტიულად და სექსუალურად კაცები იზიდავდა. ის აცნობიერებდა, რომ ისლამურ რევოლუციამდე დაშვებული იყო სქესის შეცვლის ოპერაციები, თუკი ადამიანს პროცედურის ჩასატარებლად საკმარისი ფული ჰქონდა. მაგრამ რევოლუციის შემდეგ, ახალმა ისლამურმა ხელისუფლებამ ტრანსსექსუალები და „კროსდრესერები“, ჰომოსექსუალებთან ერთად, ერთ კატეგორიაში მოაქცია და მათ ამათრახებდა ან სიკვდილით სჯიდა. მაშინ, როდესაც ჯერ ისევ კაცივით გამოიყურებოდა, ფერეიდუნ ირან-ერაყის ომში მონაწილეობდა: „როდესაც ომი დაიწყო, ფრონტის წინა ხაზზე ექთნად ვიყავი. დაჭრილ კაცებს ჭრილობებს ვუხვევდი და ისინი ხანდახან ფიქრობდნენ, რომ ქალი აკეთებდა ამას, რადგან მე უფრო ფაქიზად ვექცეოდი; გავიგონე როგორ მარჩიელობდნენ, ვინ ვიყავი“.⁶² ერთ-ერთი ასეთი პაციენტი ისლამური ხელისუფლების წარმომადგენლებთან იყო დაკავშირებული, ასე მოიპოვა ფერეიდუნმა შესაძლებლობა, რომ მაღალი დონის სამართალმცოდნეებს გასაუბრებოდა. 1987 წელს მან აიათოლა ხომეინთან გასაუბრების უფლება მოიპოვა. სულ რაღაც ნახევარ საათში, ფერეიდუნს ხელში ეჭირა გადაწყვეტილება - „ხომეინმა გადაწყვიტა, რომ სქესის შეცვლა ჩემი რელიგიური ვალდებულება იყო, რადგან ადამიანს განსაზღვრული გენდერული იდენტობა სჭირდებოდა, რომ რელიგიური წესები შეესრულებინა. მან თქვა, რომ ჩემი გრძნობებიდან გამომდინარე, მე უნდა შევასრულო ყველა წესი, რომელიც ქალმა უნდა შეასრულოს, მათ შორის - ჩაცმულობის წესები.“ მრავალი წელი დასჭირდა ფერეიდუნს საკუთარი ოჯახის წინააღმდეგობის გადასალახად, რომ საავადმყოფო ეპოვა, სადაც პროცედურის ჩატარებას და საკმაოდ ძვირი ფასის გადახდასაც შეძლებდა. თუმცა საბოლოოდ, მან შეძლო საკუთარი სხეული შეეცვალა და ის ექცია ქალის, სახელად მარიამ ხათუნ მოლქარას სხეულად, მას შემდეგ რაც ხელისუფლებასთან დაკავშირებული რელიგიური საქველმოქმედო ორგანიზაცია იმამ ხომეინის სახელობის საქველმოქმედო

⁶¹ იქვე

⁶² McDowall and Khan, “The Ayatollah and the Transsexual.”

კომიტეტი (*Imam Khomeini Relief Committee*) დაარწმუნა, რომ მისთვის და სხვა ტანსეკსუალებისათვის ამ პროცედურის საფასური დაეფარა.

ირანსა და ეგვიპტეში ჩატარებული ბოლოდროინდელი სასამართლო საქმეები ცხადყოფს, რომ მუსლიმი სამართალმცოდნეები ახერხებენ სქესის შეცვლის ოპერაციების მხარდაჭერას, რომ „განკურნონ“ ხალხი, რომლებიც გენდერული შფოთით იტანჯებიან. თუმცა, ასეთი გადაწყვეტილებების თეოლოგიური მიდგომა უფრო ამყარებს საზოგადოების დაყოფას „მასკულინურ მამრებად“ და „ფემინურ მდედრებად“, ისე რომ ყურადღების მიღმა რჩება გენდერულ იდენტობაში უფრო ღრმად არსებული განუსაზღვრელობები და სექსუალურ ორიენტაციასთან მათი კავშირი. ასეთი მიდგომა არ აღიარებს, რომ გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია ნებისმიერ საზოგადოებაში მრავალფეროვანია, მათ შორის, მუსლიმ საზოგადოებებშიც. ზოგადად, მუსლიმები ჰომოსექსუალობის ყველა ფორმას განმარტავენ როგორც „კაცი, ვისაც თავი ქალი ჰგონია“ ან „ქალი, ვისაც თავი კაცი ჰგონია“. ფაქტია, რომ ლესბოსელი ქალების უმრავლესობა თავს ქალად მიიჩნევს, ამის შეცვლა არ უნდათ და სხვა ქალებთან სურთ მიიღონ სექსუალური სიამოვნება და სიახლოვე, ისევე როგორც გეი კაცების უმრავლესობა მიიჩნევს თავს კაცად. თუმცა, ზოგიერთმა ადამიანმა, რომელსაც თავდაპირველად თავისივე სქესის ადამიანები იზიდავენ (და შესაძლოა, ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, ლესბოსელად ან გეიდ ინდენტიფიცირდებოდნენ), შესაძლოა, აღმოაჩინოს, რომ ეს სექსუალური მიზიდულობა განპირობებულია იმით, რომ ის ქალად იზრდებოდა ქალის სასქესო ანატომიის არსებობის გამო, თუმცა ის სინამდვილეში კაცად იდენტიფიცირდება (ან შესაძლოა ქალის იდენტობა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მასკულინური როლით აღიზარდა, მამაკაცის სასქესო ანატომიის არსებობისგან გამომდინარე). თვითჩაღრმავებისა და ფართო გამოცდილების შედეგად, თავდაპირველი განცდა ჰომოსექსუალური ორიენტაციისა, შესაძლოა, სინამდვილეში ტრანსგენდერული იდენტობა აღმოჩნდეს.

ეგვიპტესა და ირანში მიღებული ბოლოდროინდელი სამართლებრივი გადაწყვეტილებები ფოკუსირებულია სქესის შეცვლის ოპერაციის სამედიცინო ტექნიკაზე და შემდგომ იმ ადამიანების გენდერულ შესაბამისობაზე, რომელიც ამ პროცედურას გადის. გადაწყვეტილებების მთავარი მიზანი გენდერულად ბინარული ისლამური საზოგადოების სტაბილურობაა, თითქმის არ ექცევათ ყურადღება ადამიანებს, რომლებიც ოპერაციამდე და შესაძლოა, შემდეგაც, სტიგმასა და მარგინალიზაციას განიცდიან. თუკი ღიად და თანაგრძნობით არ იქნება აღიარებული, რომ გენდერული იდენტობა ანატომიისა და სექსუალური ორიენტაციისგან დამოუკიდებლად არსებობს, მუსლიმი სამართალმცოდნეები ტრანსგენდერი მუსლიმების გამოცდილებას სამართლიანად ვერასოდეს მიუდგებიან. საკუთარი თავის ამოცნობა და იდენტობის განსაზღვრა ადვილი არ არის იმ ტრანსგენდერი ადამიანებისათვის, რომლებიც იდევნიებიან და ისჯებიან ჰომოსექსუალობის გამო, ვიდრე ისინი გააცნობიერებენ, რომ დისჰარმონიის განცდის რეალური მიზეზი გენდერული იდენტობიდან მოდის და არა სექსუალური ორიენტაციიდან. სანამ მუსლიმურ საზოგადოებებში არ იქნება თანაგრძნობისა და გაგების განცდა ამ საზოგადოების ლესბოსელი

და გვი წევრების მიმართ, ტრანსგენდერი ადამიანები კვლავ დაიტანჯებიან და უფრო გაუჭირდებათ საკუთარი არსებობის რეალობის ნათლად აღქმა.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტესა და ირანში ისლამური ხელისუფლებების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში გარკვეული შეზღუდვები არსებობს, ეს გადაწყვეტილებები მომავალში იმედის საფუძველს მაინც იძლევა. ისინი იმაზე მიანიშნებს, რომ იჯთიჰადი მკვდარი არ არის, არც სუნიტებში და არც შიიტებში. ეს სიმართლეა, მიუხედავად იმისა, რომ ისლამური ხელისუფლების მიერ აქამდე გატარებული იჯთიჰადი ტრანსგენდერული გამოცდილების საკითხებთან დაკავშირებით ნაწილობრივი და შერჩევითია, და კვლავ გენდერულ ბინარულობას აძლიერებს საზოგადოებაში იმის მაგივრად, რომ ტრანსგენდერ ადამიანებს ტანჯვა შეუმსუბუქოს. იჯთიჰადის ეს ფრთხილი ნაბიჯები უსამართლოდ დარჩება, თუკი გაგრძელდება ლესბოსელი და გვი მუსლიმების გმობა და დევნა. ეს განიხილება, როგორც გზა, რათა დაბნეულმა ან თავნება მუსლიმებმა „სწორად შეასრულონ თავიანთი გენდერული როლები“ ჰეტეროსექსისტურ და პატრიარქალურ ჩარჩოებში, და არა გზა, რომ სიღრმისეულად გაანალიზდეს ამ ჩარჩოს ფუნდამენტური დებულებები, რომლებსაც მონდომებითა და ხშირად ძალადბრივი გზით ამტკიცებენ, რომ „ბუნებრივია“.

თუმცა, როდესაც მართლა დავაკვირდებით ადამიანების ბუნებას, როგორც ყურანი მოგვიწოდებს, აღმოვაჩენთ, როგორი ზედაპირულია ჩვენი წარმოდგენები „ბუნებრიობის“ შესახებ! ხშირად ვხედავთ, რომ წესრიგი, რომელსაც „ბუნებრივად“ აღვიქვამთ, სინამდვილეში მხოლოდ ჩვენი გამარტივებული წარმოდგენების პროექციაა სინამდვილეში რთულ და ბუნდოვან რეალობაზე, რომელსაც ბუნება წარმოადგენს. ამ თავის შეჯამების სახით, მკითხველს მინდა შევახსენო შეიხ კარადავის განცხადებები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ. მან თქვა: „*აი ნახეთ, ღმერთმა, დიდებულმა და ძლიერმა ადამიანი კაცად და ქალად შექმნა ... ასე რომ, ორ სქესს შორის ბუნებრივი მიზიდულობა არსებობს ... ეს დამყარებულია დადებითის და უარყოფითის ქცევაზე ... ატომი ელექტრონებისა და პროტონებისგან შედგება, ასე არ არის?*“⁶³ შეიხი ხმამაღლა ამბობს იმას, რასაც მუსლიმების უმრავლესობა ფიქრობს, სწავლულებიდან დაწყებული, ადგილობრივი იმამებითა და ოჯახში ავტორიტეტული ფიგურებით დამთავრებული. ისინი მიიჩნევენ, რომ ბუნებრივი სამყარო მარტივია, ეს სიმარტივე კი სოციალურ კატეგორიებსა და მორალურ ფასეულობებს გვკარნახობს - არსებობენ ელექტრონები და პროტონები, რომლებიც ფიზიკურ სხეულს ქმნიან, შესაბამისად, არსებობენ მამრები და მდედრები, რომლებიც სოციალურ სხეულს აყალიბებენ, ორივე ასე დაადგინა ღმერთმა. თუმცა, შეიხის სითამამე ასეთი განცხადებების გაკეთებისას ვერ ფარავს იმ ფაქტს, რომ ის ცდება - როგორც ფიზიკის, ასევე გენდერის საკითხებში.

⁶³ Al-Jazeera, *Shari'a and Life* (ივნისი 8, 2006), ეპიზოდის სათაური "Fitrat Allah fi Khalqih."

რაც უფრო მეტად დავაკვირდებით ბუნებას, მით უფრო აღმოვაჩენთ, რომ ის ჩვენს მარტივ წარმოდგენებს არ ემორჩილება. ეს ასეა ფიზიკაშიც და ასეა გენდერის საკითხებშიც. ჩვენი მუსლიმი წინაპრები დიდი ასტრონომები იყვნენ, ისინი სრული თავდაჯერებით ამტკიცებდნენ, რომ ჩვენს მზის სისტემაში ხუთი პლანეტა იყო (რაც მთვარესა და მზესთან ერთად ყურანში მოხსენიებულ შვიდ ზეციურ სფეროს შეესაბამება), მაგრამ ახლა დაკვირვების კიდეც უფრო ძლიერი საშუალებებით ჩვენ ვიცით, რომ ცხრა პლანეტა არსებობს. ეს სასკოლო პროგრამის დონის ფაქტიც კი არ წარმოადგენს ბოლომდე სიმართლეს, რადგან თანამედროვე ასტროფიზიკოსები ვერ თანხმდებიან, ჩვენი მზის გარშემო მოძრავი სხეულებიდან რომელია პლანეტა და რომელი არა. ერთ-ერთი ასტროფიზიკოსი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პლუტონის პლანეტის სტატუსის განხილვაში, ბუნებასთან ჩვენი დაპირისპირების შესახებ ასეთ შეჯამებას გვთავაზობს: „ბუნება ჩვენს წარმოსახვაზე უფრო მდიდარია. ცხოვრება რთულია, ცხოვრება ჩახლართულია. ამას უნდა შევეგუოთ.“⁶⁴

თუკი პლუტონის სტატუსის დადგენა ასეთი რთული, შეიძლება გვეგონოს, რომ ჩვენი მთვარის სტატუსის ამბავი უფრო მარტივადაა, რადგან ის ჩვენთან უფრო ახლოა, უფრო დიდხანს ვაკვირდებოდით, მას ვესტუმრეთ კიდეც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ მთვარე სფერული სხეულია და დედამიწას რეგულარულად უვლის გარს, იმდენად, რომ ჩვენ, მუსლიმებს, შეგვიძლია მისი ფაზების მიხედვით ავაწყოთ კალენდარი. მაგრამ მთვარის შესახებ არსებული არც ერთი ჩვენი იდეალისტური წარმოდგენა არ არის სიმართლე. ასტროფიზიკოსები დღესაც აღმოაჩენენ გასაოცარ ფაქტებს მთვარის შესახებ: „მთვარე დედამიწას სცილდება და მისი მოძრაობა ნელდება .. ყოველ წელს მთვარე 3,8 სანტიმეტრით შორდება დედამიწას ... თუკი მთვარეს ორად გაგჭრით მისი ეკვატორის ხაზზე, ნაკვეთი ფიგურა წრე კი არა, უფრო წაგრძელებული ფორმისა იქნება.“⁶⁵ მთვარე სფერო არ არის და მისი ორბიტაც არაა მუდამ რეგულარული; მთვარეც უფრო კომპლექსურია, ვიდრე მასზე ჩვენი წარმოდგენები. ადამიანები კითხულობენ ყურანს მთვარის შესახებ არსებული ცოდნით, რაც სინამდვილეში გვიზღუდავს მთვარის წარმოდგენის შესაძლებლობებს. სინამდვილეში, ჩვენი დაკვირვებები, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს არ ეთანხმება, ბევრად უფრო მომხიბვლელ მთვარეს ქმნის, მთელი თავისი ნაკლოვანებებით.

მთვარისა და პლანეტების რეალური ანალიზი ყურანს არ ეწინააღმდეგება. ის ამდიდრებს ყურანის კითხვას, თუკი ჩვენი საღი აზრის ილუზიებსა და წინასწარგანწყობებს უკან დავტოვებთ და ფრთხილად დავაკვირდებით, რა არის რეალური. ჩვენ პირისპირ უნდა შევხვდეთ ბუნების მოულოდნელ სიმდიდრესა და უსასრულო მრავალფეროვნებას, როგორც ყურანი მოგვიწოდებს, რომ შევისწავლოთ უფლის ნიშნები *ცისკიდურებზე და მათ სულებში (ყურანი 41:53)*. როდესაც ჩვენი წინასწარგანწყობები ბუნებრიობის შესახებ ვერ ხსნის ჩვენს წინაშე არსებულ რეალობას, ჩვენი ეგოისტური წარმოდგენები გამოწვევის წინაშე დგება. ჩვენ ან თავმდაბლობით უნდა ვაღიაროთ, რომ ვცდებით და ჩვენსავე სისუსტეში ვეძიოთ სიბრძნე,

⁶⁴ ალან სტერნი არის ნიუ ჰორაიზონს პლუტონზე (New Horizons) კოსმოსური მისიის მეცნიერი, რომელიც მუშაობს ბოულდერში, კოლორადოს შტატში, Southwest Research Institute-ში. ციტირებულია Overbye-ში, So What Is a Planet?


⁶⁵ Chang, “Unraveling the Moon’s Mysteries.”

ან ჩვენ შეგვიძლია თვალი ავარიდოთ სინამდვილეს, რომელსაც უფალი გვიჩვენებს, დავხუროთ ჩვენი გონება საკუთარი ეგოისტური თვითგანდიდების შესანარჩუნებლად.

თუკი ბუნების თავბრუდამხვევ კომპლექსურობას პირდაპირ შევხედავთ, აღმოვაჩინოთ, რომ შეგვიძლია ყურანს ახალი ცოდნით დავუბრუნდეთ. მოვისმინოთ, როგორ იფიცებს ყურანი პლანეტებს: „როს მზე დაიგრაგნება, როს ვარსკვლავნი მიინავლებიან... როს ცოცხლად დამარხულს ჰკითხავენ⁶⁶, რა ცოდვისთვის მოიკლა... გაიგებს სული, თუ რა მოიტანა, ო არა! ვფიცავ უკან მოძრავთ, მსრბოლავთ, დაბურულთა, ვფიცავ ღამეს, როს ის ბნელდება“ (81:1-18). პლანეტების დანახვა ხანდახან შეგვიძლია, ხანდახან - არა. არასოდეს არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ პლანეტების ყველა საიდუმლოება ვიცით, ჩვენ ყოველთვის ყურადღებით უნდა ვაკვირდებოდეთ მეტის შესაცნობად. და როგორც ყურანი ღებს ფიცს პლანეტებსა და ვარსკვლავებზე, ის ასევე გვაძულებს ყურადღება მივმართოთ სქესისაკენ, როდესაც უსამართლოდ დევნილი და მოკლული ჩვილი გოგოების შესახებ საუბრობს, რომლებიც იმის გამო მოკლეს, რომ საზოგადოება ბიჭებს ფასეულად მიიჩნევს, გოგოებს კი - ტვირთად. ისეთი დარწმუნებულები იყვნენ პრე-ისლამური არაბები, რომ ყველაფერი იცოდნენ ბუნებრივსა და არაბუნებრივზე გენდერის შესახებ, რომ საკუთარი შვილი გოგონების დახოცვისას მორალურად არანაირ წინააღმდეგობას არ გრძნობდნენ.

მუსლიმები ამაყობენ, რომ ყურანის ძალით, შეძლეს ახალშობილი გოგონების დახოცვის პრაქტიკის მოსპობა. მაგრამ, ნუთუ მხოლოდ ეს უნდა ვიკმაროთ? ჩვენ ნამდვილად სრული მნიშვნელობით გავიაზრეთ ყურანის მსჯელობა ახალშობილი გოგონების დახოცვის შესახებ? ვიდრე არ გადავიაზრებთ გენდერის არსებულ ჩვენს წარმოდგენებს - არა მხოლოდ მათ მიმართ, ვინც „მდედრობითი ანატომიით“ დაიბადა, არამედ მათ მიმართაც, ვინც ქალის ფსიქიკით დაიბადა „კაცის ანატომიის“ მქონე სხეულში - ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ჩვენ ყურადღებით მოვუსმინეთ ყურანს და სრულად ვიგრძენით მისი რეზონანსი. რამდენი გოგო-ბიჭი „იმარხება“ ჩვილობიდან, გენდერის სტერეოტიპული და უდრეკი ცნებების გამო? რამდენს ახრჩობს ოჯახისა და საზოგადოების მიერ დადგენილი გენდერული იდენტობა, რომელსაც მათი ფსიქიკა უარყოფს? რამდენ ხანს უნდა აიტანონ ცილისწამებაში დამარხვა, ისლამისადმი ერთგულების სახელით, რომელიც მათ პირად გამოცდილებასა და არსებობისთვის ბრძოლას არაფრად მიიჩნევს?

⁶⁶ ყურანის ქართულ თარგმანში (ლობჯანიძის თარგმანი) „ცოცხლად დამარხული“ სქესის დაკონკრეტების გარეშეა, თუმცა ინგლისური თარგმანი ინარჩუნებს არაბულ ორიგინალში არსებულ გენდერულ მინიშნებას, რომ მდედრობითი სქესის „ცოცხლად დამარხულზე“ საუბარი. (მთარგ. შენ.)



მრავალფეროვნება!
სოლიდარობა!
თანსწორობა!

